პარლამენტის წევრის

საბიუჯეტო გზამკვლევი

I | რა არის მნიშვნელოვანი არ დარჩეს პარლამენტის წევრის ყურადღების მიღმა გვ. 5

II | პარლამენტის ახალი ფუნქციები გვ.36

III | ვინ როგორ დაგეხმარებათ გვ. 40

IV | კითხვა-პასუხი გვ. 42

V | საჭირო წყაროები გვ.61

დანართი 1: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მთავრობის ანგარიშზე მოხსენება გვ.62

Delivering Progress

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

გზამკვლევი მოამზადა პოლიტიკის და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) წარმომადგენელმა მიხეილ კუკავამ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ფარგლებში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსს, ირინა ლომიას. ასევე, მადლობას ვუხდით პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის მთავარ სპეციალისტებს ნაირა ყირიმლიშვილს და ქართლოს ეზუგბაიას და წამყვან სპეციალისტს რაულ გოგსაძეს ტექსტზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებებისთვის.

გზამკვლევში მოცემული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

თბილისი 2020

როგორ დაგეხმარებათ საბიუჯეტო გზამკვლევი

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია თქვენ, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრს, საპარლამენტო საქმიანობისას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესის უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე (განხილვა, დამტკიცება, ზედამხედველობა) დაგეხმაროთ. კერძოდ, გზამკვლევი შეგახსენებთ:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის, ანუ საბიუჯეტო პროცესის საკვანძო თარიღებს, გვერდით მოცემული სანიშნეებით
- იმ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, არ დარჩეს პარლამენტის წევრის ყურადღების მიღმა ბიუჯეტის პროექტის განხილვისა თუ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების მოსმენისას
- ვინ და როგორ შეიძლება დაგეხმაროთ, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის, ისე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების სხვადასხვა ეტაპზე.
- კითხვა-პასუხის განყოფილება ანბანის მიხედვით, სადაც მოცემულია იმ კითხვებზე პასუხები, რაც ბიუჯეტის კანონის და შესრულების ანგარიშგების აღქმაში დაგეხმარებათ.

კალენდრის სანიშნეებზე მითითებული თარიღები, მაგ., 1 ოქტომბერი, 31 მარტი და ა.შ., ნიშნავს, რომ რაიმე ვალდებულების შესრულების ვადა დგება არაუგვიანეს ამ თარიღისა, რაც გულისხმობს, რომ შეიძლება დადგეს ამ თარიღამდეც და ამ თარიღის ჩათვლითაც, მაგ., ის, რომ მთავრობა პარლამენტს, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, ნიშნავს, რომ 1 ოქტომბერი და არა 30 სექტემბერი, არის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენის ბოლო ვადა.

რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი? სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონი, რომელშიც მოცემულია ის სახსრები, რომელსაც საქართველოს ცენტრალური მთავრობა მიიღებს და დახარჯავს წლის განმავლობაში თავისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად. ასევე არსებობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები. ამ სამი ბიუჯეტის ერთობლიობას ეძახიან ნაერთ ბიუჯეტს.

რა არის მნიშვნელოვანი არ დარჩეს პარლამენტის წევრის ყურადღების მიღმა

საბიუჯეტო კალენდარი: თქვენი როლი

1 ოქტომბრამდე

მთავრობა პარლამენტს წარუდგენს:

1. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დანართებს, მათ შორის, განმარტებით ბარათს

3. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს (BDD)[1], რაც მთავრობის საშუალოვადიანი (ოთხწლიანი) გეგმაა და მოიცავს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებს და ამოცანებს

4. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებას

5. წლიური ბიუჯეტის ასამოქმედებლად საჭირო სხვა კანონებში ცვლილებების პროექტს იმ შემთხვევაში, როცა ამგვარი ცვლილებები საჭიროა.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მოცემულია:

1.1. შემოსულობები (პირველი თავი)
შემოსულობები არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს, კერძოდ:

- შემოსავლები
- არაფინანსური აქტივების კლება (ქონების გაყიდვა)
- ფინანსური აქტივების კლება (მთავრობის მიერ გაცემული სესხების და დებიტორული დავალიანების დაფარვა (დებიტორული დავალიანების განმარტება იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში, ანბანური რიგის მიხედვით)
- **ვალდებულებების ზრდა:** მთავრობის მიერ საგარეო და საშინაო ვალის აღება.

შესაბამისად, შემოსავლები არის შემოსულობების შემადგენელი ნაწილი და, როგორც ხშირად არასწორად ჰგონიათ ხოლმე, არ არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს (შემოსულობების განმარტება დაწვრილებით იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში).

1.2.გადასახდელები (პირველი თავი)
გადასახდელები არის ის მთლიანი სახსრები, რომლებიც მთავრობას შეუძლია წლის განმავლობაში გამოიყენოს, კერძოდ:

- **ხარჯები**
- **არაფინანსური აქტივების ზრდა.** 500 ლარის და მეტი ღირებულების ქონების შეძენა[2]
- **ფინანსური აქტივების ზრდა** (ძირითადად სესხის გაცემა მთავრობის მიერ)

[1] ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სხვა უწყებები ხშირად მისი ინგლისური შესატყვისით - Basic Data and Directions-ის აბრევიატურით (BDD) იყენებენ.

[2] არაფინანსურ აქტივად ქონების მისაჩნევად ასევე აუცილებელი პირობაა ის, რომ ერთ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენებოდეს წარმოების ან მომსახურების პროცესში.

- **ვალდებულებების კლება** (მთავრობის მიერ საგარეო და საშინაო ვალის ძირის დაფარვა, პროცენტის გარეშე)

შესაბამისად, ხარჯები არის გადასახდელების შემადგენელი ნაწილი და, როგორც ხშირად არასწორად ჰგონიათ ხოლმე, არ არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა გამოყენებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს (გადასახდელების განმარტება დაწვრილებით იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში).

1.3. ნაშთის ცვლილება (პირველი თავი):

ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულის გამოყენება ან დაგროვება. თუ შემოსულობები მეტია გადასახდელებზე, ხდება ნაშთის დაგროვება. თუ შემოსულობები ნაკლებია გადასახდელებზე, ხდება ნაშთის გამოყენება. ნაშთის დაგროვებას ან გამოყენებას ნაშთის ცვლილება ეწოდება.

1.4. მთლიანი სალდო[3], ანუ ბიუჯეტის დეფიციტი (-) ან პროფიციტი (+)

(იხ. სახელმწიფო ბიუჯეტის დანართში „ძირითადი ფინანსური და მაკროეკონომიკური ინდიკატორები“). რა არის მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) და როგორ გამოითვლება იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში.

1.5. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების დაფინანსებები ანუ ხარჯვითი ნაწილი

(მე-6 თავი): თავად ამ პროგრამების აღწერები მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ დანართში, რაც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

შენიშვნა 1:
მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მხოლოდ შემოსულობები არ არის ის მთლიანი საფინანსო რესურსი, რომლის განკარგვაც მთავრობას შეუძლია. მთავრობის მთლიანი საფინანსო რესურსი არის შემოსულობებს პლუს ნაშთი, რომლის გამოყენებასაც მთავრობა გადაწყვეტს.

შენიშვნა 2:
მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ერთიანი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ან ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს. იმისთვის, რომ მთლიანი დეფიციტი გავზომოთ, უნდა ავიღოთ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი, პლუს სსიპების და ააიპების ბიუჯეტები, ანუ ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

[3] ბიუჯეტის დეფიციტი, არის უარყოფითი მთლიანი სალდო, დადებითი მთლიანი სალდო უკვე პროფიციტია, მაგრამ რადგან ბიუჯეტი პროფიციტული, როგორც წესი, არ არის, ამიტომ მთლიანი სალდოს გრაფაში, დიდი ალბათობით, პროფიციტს ვერ ნახავთ.

სახელმწიფო ბიუჯეტის მე-6 თავში მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა: 1. პროგრამების მიხედვით დაფინანსება 2. ცენტრალური მთავრობის მომუშავეთა რიცხოვნობა 3. დაფინანსების რა ნაწილი იფარება საბიუჯეტო სახსრებით და რა ნაწილი - გრანტებით და კრედიტებით:

თავი VI

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (ამონარიდი)

ათას ლარებში

პრომგრა-მული კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
00 00	სულ ჯამი	11,764,835.4	12,590,181.6	13,313,115.0	12,281,590.0	100,400.0	931,125.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	116,757.0	113,613.0	112,143.0	112,143.0	0.0	0.0
	ხარჯები	9,372,090.0	9,543,712.7	9,999,052.9	9,914,607.9	41,455.0	42,990.0
	შრომის ანაზღაურება	1,385,370.0	1,407,624.2	1,469,483.7	1,468,863.7	620.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	971,755.5	1,912,171.3	2,137,593.1	1,399,903.1	58,945.0	678,745.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	905,602.2	381,098.4	209,390.0	0.0	0.0	209,390.0
	ვალდებულებების კლება	515,387.7	753,199.3	967,079.0	967,079.0	0.0	0.0
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	59,223.5	61,154.2	64,736.0	64,736.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,331.0	1,126.0	1,126.0	1,126.0	0	0
	ხარჯები	56,619.5	54,721.4	57,687.9	57,687.9	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	30,432.3	29,428.4	31,224.0	31,224.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,604.0	6,432.7	7,048.1	7,048.1	0.0	0.0
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	51,248.4	51,481.2	54,696.0	54,696.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	840.0	670.0	670.0	670.0	0	0
	ხარჯები	49,696.0	47,343.9	49,952.9	49,952.9	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	24,935.5	23,725.4	25,298.0	25,298.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,552.4	4,137.3	4,743.1	4,743.1	0.0	0.0
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	0.0	17,394.5	18,530.4	18,530.4	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	385.0	385.0	385.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	17,394.5	18,530.4	18,530.4	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	0.0	14,724.5	15,353.1	15,353.1	0.0	0.0
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	0.0	6,450.5	6,934.5	6,934.5	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	6,450.5	6,934.5	6,934.5	0.0	0.0
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	51,248.4	27,636.1	29,231.1	29,231.1	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	840.0	285.0	285.0	285.0	0.0	0.0
	ხარჯები	49,696.0	23,498.8	24,488.0	24,488.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	24,935.5	9,000.9	9,944.9	9,944.9	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,552.4	4,137.3	4,743.1	4,743.1	0.0	0.0
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,525.4	9,223.9	9,590.0	9,590.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	476.0	441.0	441.0	441.0	0.0	0.0
	ხარჯები	6,477.3	6,928.4	7,290.0	7,290.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	5,210.8	5,417.3	5,640.0	5,640.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,048.1	2,295.4	2,300.0	2,300.0	0.0	0.0
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	449.7	449.1	450.0	450.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	15.0	15.0	15.0	15.0	0	0
	ხარჯები	446.1	449.1	445.0	445.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	286.0	285.7	286.0	286.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.5	0.0	5.0	5.0	0.0	0.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,194.6	13,529.0	8,200.0	8,200.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	150.0	140.0	60.0	60.0	0	0
	ხარჯები	13,087.7	13,479.2	8,100.0	8,100.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	4,622.4	4,211.0	2,520.0	2,520.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104.9	49.9	100.0	100.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	2.0	0.0	0.0	0.0		
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	331.3	562.4	750.0	750.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	13.0	13.0	13.0	13.0	0	0
	ხარჯები	331.3	678.0	750.0	750.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	291.3	630.0	547.0	547.0	0.0	0.0

პროგრა- მული კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	17,940.4	20,150.7	16,800.0	16,800.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	227.0	227.0	227.0	227.0	0	0
	ხარჯები	17,599.2	19,608.8	16,210.0	16,210.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	6,632.3	6,727.8	7,430.0	7,430.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	337.0	541.8	590.0	590.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	4.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14,156.8	14,123.5	16,170.8	16,170.8	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	370.0	339.0	353.0	353.0	0	0
	ხარჯები	13,740.3	13,909.5	15,502.8	15,502.8	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	11,516.1	11,407.8	12,697.3	12,697.3	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	391.7	214.0	668.0	668.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	24.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

1.6. ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი ფინანსური დახმარება (სახ.ბიუჯეტისმე-7 თავი): შედგება: 1. თითოეული მუნიციპალიტეტისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-დან დაანგარიშებული დღგ-ს წილისგან 2. სპეციალური და 3. მიზნობრივი ტრანსფერებისგან (დაწვრილებით იხ. კითხვა-პასუხში „მ" ასოზე).

- აქ მნიშვნელოვანია შედარება წინა წლის მონაცემებთან

1.7. ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მე-3 თავი, მე-9 მუხლი) დაფინანსება სფეროების მიხედვით

ფუნქციონალური კლასიფიკაცია დაფინანსებას ალაგებს არა სამინისტროების, არამედ სფეროების მიხედვით, მაგ.:

- თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალი ასახულია „ჯანდაცვაში"
- პოლიციის აკადემია - „განათლებაში"
- ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი - „კულტურაში" და ა.შ.

თუ თქვენ გინდათ იცოდეთ რა არის ცალკეული სფეროს და ამ სფეროების შიგნით სექტორების დაფინანსება, ფუნქციონალური კლასიფიკაცია შეუცვლელი წყაროა. აქ მოცემულია ძალიან სასარგებლო ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვემოთ მოყვანილი 10 სფეროსა და ამ სფეროს შიგნით ბევრი სხვადასხვა სექტორის დაფინანსების შესახებ, რასაც სხვაგან ვერსად იპოვით (ამ 10 სფეროს შიგნით ბევრი სხვადასხვა სექტორის დეტალური ჩამონათვალი იხ. კითხვა-პასუხში გზამკვლევის ბოლოს, ანბანური რიგის მიხედვით):

1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, რაც, ძირითადად, არის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა[4]
2. თავდაცვა
3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
4. ეკონომიკური საქმიანობა
5. გარემოს დაცვა
6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა
7. ჯანდაცვა
8. დასვენება, კულტურა და რელიგია
9. განათლება
10. სოციალური დაცვა

დაფინანსების მიზნების მიხედვით ამგვარი დაჯამების გარეშე ვერასდროს გავიგებდით რამდენი იხარჯება ამ სფეროებზე და ამ სფეროების შემადგენელ სექტორებზე, რადგან შესაძლოა ერთი მიზნისთვის (მაგ., ჯანდაცვა) სხვადასხვა უწყება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარჯავდეს ფულს და ეს მათ ბიუჯეტში ცალკე მუხლად არც ჩანდეს, მაგ.:

- „განათლება" მოიცავს ზოგად განათლებას, პროფესიულ განათლებას, უმაღლეს განათლებას და ა.შ და განათლებაზე ფულს, შესაძლოა, რამდენიმე სხვადასხვა უწყება ხარჯავდეს
- „სოციალური დაცვა" მოიცავს პენსიებს, დევნილთა დახმარებებს, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დახმარებებს და ა.შ. ავადმყოფების ან ხანდაზმულების სოციალურ დაცვას შეიძლება ეწეოდეს არა მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო, არამედ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, პროკურატურა და სხვა უწყებები
- კითხვა-პასუხის განყოფილებაში „ფ" ასოზე ფუნქციონალური კლასიფიკაციის ცხრილში იხ. ყველა სფერო დეტალურად.

1.8. დონორების ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები (კრედიტები, მე-4 თავი, გრანტები, მე-2 თავი)

დონორების ფინანსურ მხარდაჭერას აქვს:

1. საინვესტიციო კრედიტების და ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტების ფორმა და კაპიტალური დანიშნულების გრანტების ფორმა: ამ კრედიტებით და გრანტებით ფინანსდება საინვესტიციო პროექტები, რაც შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის მე-6 თავში. აქ საბიუჯეტო დაფინანსების გვერდით მოცემულია ცალკე კრედიტები და ცალკე -- გრანტები კონკრეტული პროექტების მიხედვით.

2. მიმდინარე დანიშნულების გრანტების ფორმა: ეს გრანტები და კრედიტები, ძირითადად, ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი რეფორმებისთვის არის განკუთვნილი და ბიუჯეტის მთლიან კალათაში მიდის, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით.

საინვესტიციო კრედიტებთან ერთად, ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტებით დაფინანსებული პროექტები კრედიტორების მიხედვით მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის მე-4 თავში, ხოლო კაპიტალური დანიშნულების

[4] საერთო დანიშნულებისაა ისეთი მომსახურება, რომელიც არ უკავშირდება სახელმწიფო სექტორის კონკრეტულად ერთ რომელიმე სფეროს. იხ. დეტალურად კითხვა-პასუხის განყოფილებაში „ფ" ასოზე ფუნქციონალური კლასიფიკაციის ცხრილში.

გრანტებთან ერთად, მიმდინარე დანიშნულების გრანტებით დაფინანსებული პროექტები -- სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავში. ამასთან, მთავრობის მიერ აღებული კრედიტების ჯამური ოდენობა შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის პირველ თავში.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის I თავის I მუხლი

ვალდებულებების ცვლილებაში, რაც საგარეო და საშინაო სესხების აღებას და დაფარვას შორის სხვაობაა, იპოვით იმ საგარეო სესხებს, რაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ნებისმიერ ღონისძიებაზე დაიხარჯება: ნახეთ ***ვალდებულების ცვლილება → ზრდა → საგარეო → სესხების*** სტრიქონის გასწვრივ (გაწითლებულია ცხრილში) საბიუჯეტო სახსრების სვეტში. ვალდებულებების ცვლილებაში ასევე იპოვით საინვესტიციო კრედიტებს, რომლითაც კონკრეტული საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაა გათვალისწინებული: ნახეთ ***ვალდებულების ცვლილება → ზრდა → საგარეო → სესხების*** სტრიქონის (გაწითლებულია ქვემოთ ცხრილში) გასწვრივ დონორების დაფინანსების სვეტში. მაშასადამე, 2019 წელს მთავრობა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად 385 მილიონი ლარის საგარეო სესხის აღებას გეგმავს, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად კი -- 931.125 მილიონი ლარის.

გრანტებიც იმავე პრინციპით არის განაწილებული, როგორც კრედიტები (ქვემოთ ცხრილში გრანტების გრაფაც გაწითლებულია): მიმდინარე დანიშნულების, ანუ ბიუჯეტის მხარდაჭერის გრანტები, რაც, ძირითადად, რეფორმებს ხმარდება და კაპიტალური დანიშნულების გრანტები, რაც საინვესტიციო პროექტებს ხმარდება. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1-ელი თავის ქვემოთ მოცემულ ცხრილში, საბიუჯეტო სახსრების სვეტში მოცემული 290 მილიონი ლარი არის მიმდინარე დანიშნულების, ანუ ბიუჯეტის მხარდაჭერის გრანტები, ხოლო 100.4 მილიონი ლარი -- კაპიტალური დანიშნულების გრანტები. გრანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორც აღვნიშნეთ, შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავში.

ვალდებულებების ცვლილების მუხლში ***ზრდა → საშინაო → ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა*** (გაწითლებულია ცხრილში) სტრიქონის გასწვრივ საბიუჯეტო სახსრების სვეტში არის ის საშინაო ვალი, რასაც მთავრობა იღებს და ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართავს. მაშასადამე, 2019 წელს მთავრობა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად 900 მილიონი ლარის საშინაო ვალის აღებას გეგმავს.

როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების კლების სტრიქონში მოცემულია ვალის გადახდა.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	მათ შორის	
				საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება
შემოსავლები	**9,750,326.9**	**10,595,649.4**	**10,540,400.0**	**10,440,000.0**	**100,400.0**
გადასახადები	8,991,307.4	9,695,962.2	9,645,000.0	9,645,000.0	0.0
გრანტები	**350,602.4**	**404,014.7**	**390,400.0**	**290,000.0**	**100,400.0**
სხვა შემოსავლები	408,417.1	495,672.5	505,000.0	505,000.0	0.0
ხარჯები	**9,372,090.0**	**9,543,712.7**	**9,999,052.9**	**9,914,607.9**	**84,445.0**
შრომის ანაზღაურება	1,385,370.0	1,407,624.2	1,469,483.6	1,468,863.6	620.0
საქონელი და მომსახურება	1,248,448.0	1,288,263.2	1,246,432.1	1,243,997.1	2,435.0
პროცენტი	476,606.7	513,043.8	624,041.0	624,041.0	0.0
სუბსიდიები	486,262.3	419,453.0	435,087.0	401,432.0	33,655.0
გრანტები	1,346,158.8	1,331,957.4	787,932.1	787,932.1	0.0
მ.შ. კაპიტალური	610,194.8	527,941.7	628,816.1	628,816.1	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,324,267.1	3,501,326.9	3,866,912.0	3,886,912.0	0.0
სხვა ხარჯები	**1,104,977.1**	**1,082,044.2**	**1,549,165.0**	**1,501,430.0**	**47,735.0**
მ.შ. სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	157,729.5	82,295.2	335,031.0	305,886.0	29,145.0
საოპერაციო სალდო	**378,237.0**	**1,051,936.7**	**541,347.2**	**525,392.2**	**15,955.0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**874,149.5**	**1,811,165.9**	**2,057,593.1**	**1,319,903.1**	**737,690.0**

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	მათ შორის	
				საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება
ზრდა	971,755.5	1,912,171.3	2,137,593.1	1,399,903.1	737,690.0
კლება	97,606.0	101,005.4	80,000.0	80,000.0	0.0
მთლიანი სალდო	**-495,912.5**	**-759,229.1**	**-1,516,246.0**	**-794,511.0**	**-721,735.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**640,305.0**	**365,188.7**	**-267,200.0**	**-476,590.0**	**209,390.0**
ზრდა	**905,602.2**	**484,339.0**	**209,390.0**	**0.0**	**209,390.0**
ვალუტა და დეპოზიტები	146,170.4	0.0	356,590.0	356,590.0	0.0
სესხები	96,104.5	94,131.8	120,000.0	120,000.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	23,018.3	25,013.7	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	4.0	4.8	0.0	0.0	0.0
კლება	**265,297.2**	**119,150.3**	**476,590.0**	**476,590.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	146,170.4	0.0	356,590.0	356,590.0	0.0
სესხები	96,104.5	94,131.8	120,000.0	120,000.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	23,018.3	25,013.7	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	4.0	4.8	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**1,136,217.5**	**1,124,417.8**	**1,249,046.0**	**317,921.0**	**931,125.0**
ზრდა	**1,651,605.2**	**1,877,617.1**	**2,216,125.0**	**1,285,000.0**	**931,125.0**
საშინაო	**399,493.9**	**422,310.4**	**900,000.0**	**900,000.0**	**0.0**
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	399,493.9	422,309.4	900,000.0	900,000.0	0.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	**1,252,111.3**	**1,455,306.7**	**1,316,125.0**	**385,000.0**	**931,125.0**
სესხები	1,252,111.3	1,455,306.7	1,316,125.0	385,000.0	931,125.0
კლება	**515,387.7**	**753,199.3**	**967,079.0**	**967,079.0**	**0.0**
საშინაო	**61,334.9**	**35,082.0**	**40,079.0**	**40,079.0**	**0.0**
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35,000.0	35,000.0	40,000.0	40,000.0	0.0
სესხები	2,080.0	82.0	79.0	79.0	0.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24,254.9	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	**454,052.7**	**718,117.3**	**927,000.0**	**927,000.0**	**0.0**
სესხები	427,428.7	714,884.7	927,000.0	927,000.0	0.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26,624.0	3,232.6	0.0	0.0	0.0

– დღიური

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე თანდართულ დოკუმენტებში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ:

2.1.სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემულია:

- ✓ ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზები და მათი აღწერა (მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები, ექსპორტი, იმპორტი, დეფიციტი/პროფიციტი, მთავრობის ვალი და ა. შ.)
- ✓ ფისკალური[5] მაჩვენებლების პროგნოზები და მათი აღწერა
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებები და პროგრამები

2.2. პროგრამული დანართი[6], რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვანი დანართია, ვინაიდან სწორედ

> **შენიშვნა 3:**
> პროგრამულ დანართში მნიშვნელოვანია, პროგრამის ინდიკატორები იყოს გაზომვადი, ანუ რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოხატული და არა ისეთი, როგორიცაა, მაგალითად „მოსახლეობის კმაყოფილების ზრდა“, რისი გაზომვაც პრაქტიკულად ძალიან რთულია.

აქ არის ახსნილი, თუ როგორ აპირებს მთავრობა თავისი მიზნების მიღწევას და რა შედეგები მიუთითებს ამ მიზნების მიღწევაზე. საშუალოვადიანი საბიუჯეტო ციკლი საქართველოში ოთხწლიანია. შესაბამისად, პროგრამულ დანართში ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილია დასაგეგმი წლისა და შემდგომი სამი წლისთვის, რაც განვლილ და მომავალ წლებთან შედარების კარგ საშუალებას გვაძლევს (დაწვრილებით უფრო მეტი იმაზე, თუ 1. რა არის პროგრამული დანართი 2. რატომ მოითხოვს თქვენს ყურადღებას 3. კარგი და ცუდი ინდიკატორების მაგალითები იხილეთ გზამკვლევის ბოლოს კითხვა-პასუხში, ანბანური რიგის მიხედვით).

2.3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი (ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ). კაპიტალური ბიუჯეტის დანართი პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცალკე დანართად არის წარმოდგენილი. აქ თავს იყრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებულია მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით. აქ მოცემული ყველა პროექტი, თავის მხრივ, წარმოადგენს წლიური საბიუჯეტო კანონის რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს (მეტი ინფორმაცია იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში კაპიტალური ბიუჯეტის განმარტებაში)

2.4. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

2.5. წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი (თუ ამგვარი ცვლილებების მიღება საჭიროა)

2.6. ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ააიპ)[7] მიერ კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ

2.7. მაკროეკონომიკური პროგნოზები, რაც მოიცავს ფისკალური პოზიციის ანალიზს

2.8. „სხვა ხარჯების“ მუხლის ჩაშლა დანართში „ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განსახორცი-

[5] ყველაფერი, რაც ეხება მთავრობის ფინანსებს, განსაკუთრებით, გადასახადებს.
[6] პროგრამულ დანართს ჰქვია „ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები“.
[7] ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული.

ელებელი ღონისძიებების შესახებ“(სხვა ხარჯების ჩაშლა 2013 წლიდან დაიწყო, რაც საშუალებას გაძლევთ თვალი მიადევნოთ, თუ რისი დაფინანსება იგეგმება ამ მუხლით)

2.9. მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი (ვალის მდგრადობის საინტერესო ანალიზი).

2.10. ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)

ყველა ამ დოკუმენტის წარდგენიდან ორ დღეში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის და BDD-ის განხილვის განრიგს.

სხვა კანონებისგან განსხვავებით, ბიუჯეტის პროექტი სამი მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვის ნაცვლად გადის მთავრობასთან შეთანხმების პროცესს, რაც ქვემოთ ეტაპებად არის აღწერილი.

20 ოქტომბრამდე

1. პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით განიხილავენ კომიტეტები, ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა და პარლამენტის დამოუკიდებელი წევრები. მაკროეკონომიკური პარამეტრების საფუძვლიანობის შესაფასებლად, რასაც ეყრდნობა ბიუჯეტის დაგეგმვა, შესაძლებელია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზების გამოყენება http://www.pbo.parliament.ge/ge

2. საკომიტეტო განხილვების დროს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარადგენს ფინანსთა მინისტრი ან მისი მოადგილე, ან მომხსენებლად დანიშნული სხვა პირი, ხოლო სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას წარადგენს შესაბამისი მინისტრი, მისი მოადგილე, ან სხვა პასუხისმგებელი პირი

3. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე პარლამენტს წარედგინება:

3.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ

3.2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

3.3. ეროვნული ბანკის დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ძირითადი პარამეტრების შესახებ

4. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი განიხილავს და აფასებს სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, აგრეთვე ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებს და ამ დასკვნების, საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე ამზადებს საბოლოო დასკვნას.

22 ოქტომბრამდე

პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ დასკვნას[8] გადაცემიდან 2 დღის ვადაში უგზავნის მთავრობას.

5 ნოემბრამდე

მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის **გადამუშავებულ ვარიანტებს** გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციასთან ერთად წარუდგენს პარლამენტს.

[8] ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში დასაგეგმი წლის შემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

დღიური

10 ნოემბრამდე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ხოლო ეროვნული ბანკი – დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

18 ნოემბრამდე

პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს.

20 ნოემბრამდე

პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნას[9] პლენარულ სხდომაზე განხილვისას გამოთქმული შენიშვნების ამსახველ სტენოგრამასთან ერთად უგზავნის მთავრობას.

პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტს და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენებას წარადგენს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის რომელიმე წევრი. პარლამენტი ასევე ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ეროვნული ბანკისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

30 ნოემბრამდე

მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო და BDD-ის შესაბამის ვარიანტებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციასთან ერთად წარუდგენს პარლამენტს. ბიუჯეტის პროექტის და BDD-ის ეს ვარიანტები მიღებისთანავე ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე და ეგზავნება ეროვნულ ბანკს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

შენიშვნა 1:
თქვენ ამ დოკუმენტების გასაცნობად გექნებათ, სულ მცირე, 5 დღე, ვიდრე გაგრძელდება ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა პლენარულ სხდომამდე. პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს პლენარულ სხდომაზე განიხილავს. სხდომაზე მთავრობის წევრები გამოდიან მოხსენებებით, რომელთა ხანგრძლივობაც არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს.

თქვენ უფლება გაქვთ, კანონპროექტის განხილვისას შეკითხვა დაუსვათ მომხსენებელს ან გამოხვიდეთ სიტყვით.

დღიური

[9] კანონის პროექტის განხილვაში შესვენების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში

5 დეკემბრამდე

მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვამდე, მას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი განიხილავს და დასკვნას პარლამენტის ბიუროს წარუდგენს.

31 დეკემბრამდე

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტი კენჭს უყრის არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა და მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, მთავრობა პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა ასევე შესაძლებელია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

თუ პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან მთავრობისა და პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.

საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ყოველთვიურად მხარჯავ დაწესებულებებზე გაიცემა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

დღიური

30 აპრილამდე

ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვას.

ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც არ უნდა დარჩეს პარლამენტის წევრის ყურადღების მიღმა 3 თვის შესრულების მიმოხილვაში, იხ. 31 მაისის განყოფილებაში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს განვიხილავთ.

სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ შესრულებას, როგორც წესი, განიხილავენ პარლამენტის კომიტეტები. საკომიტეტო განხილვებს ორგანიზებას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგები მოხსენდება პარლამენტს და შესაძლოა მისი განხილვის საგანიც გახდეს.

თქვენ უფლებამოსილი ხართ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოითხოვოთ და მიიღოთ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან.

დღიური

1. მთავრობა პარლამენტს წარუდგენს წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს. ფინანსთა სამინისტრო, როგორც წესი, 31 მარტამდე[10] აქვეყნებს წინასწარ ანგარიშს mof.ge-ზე. ამდენად, ანგარიშს 31 მარტიდან შეგიძლიათ გაეცნოთ.

მთავრობას აქვს ვალდებულება კარგად არგუმენტირებული პასუხი გასცეს თქვენს ყველა კითხვას იმაზე თუ რამდენად ზუსტად და სრულად ასახავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობებს და მათ კანონიერებას. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით[11], პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს ამტკიცებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ზუსტად და სრულად ასახავს გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობებს და მათ კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტს შეუძლია არ დაამტკიცოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მნიშვნელოვანია ვნახოთ, როგორ შესრულდა გეგმა, რაც შეგვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ ბიუჯეტის რომელი ნაწილი შესრულდა და სად ფიქსირდება ჩამორჩენა.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კი, პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ. საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებას პარლამენტი განიხილავს არაუგვიანეს საგაზაფხულო სესიის დასრულებისა.

შენიშვნა 1:
წინამდებარე გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ კითხვების ფორმულირებაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების მოხსენებაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებით თქვენი დაინტერესება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული უამრავი ძალიან მნიშვნელოვანი მიგნების გათვალისწინებას.

ამასთან, არსებობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების მოხსენებაში მოცემული გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინების სამთავრობო მექანიზმი, კერძოდ, ამ რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფისთვის მთავრობა თავისი განკარგულებით ყოველ წელს ადგენს შესაბამის სამოქმედო გეგმას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში მოცემულია როგორც სისტემური პრობლემები, ასევე აუდიტის მიგნებები და რეკომენდაციები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებას განიხილავენ:

- ✓ პარლამენტის კომიტეტები – როგორც წესი, მათ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით;
- ✓ ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები.

[10] ანუ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენისთანავე.
[11] პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მოცემულია:

1.1. როგორ შესრულდა შემოსულობები (შეგახსენებთ, რომ შემოსულობები არის ის მთლიანი სახსრები, რაც მიიღო მთავრობამ წლის განმავლობაში):

✓ შემოსავლები;

✓ არაფინანსური აქტივების კლება (ქონების გაყიდვა);

✓ ფინანსური აქტივების კლება (ძირითადად მთავრობისთვის სესხის დაბრუნება). აქვე აღირიცხება დებიტორული დავალიანებების დაბრუნება. მისი წილი ფინანსური აქტივების კლების მუხლში ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ძირითადად მოდის კერძო სექტორის დავალიანებაზე მთავრობის მიმართ. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ მუხლში დებიტორული დავალიანებების ნაწილში გამოწვევაა როგორც დებიტორული დავალიანებების დაბრუნება, ისე მათი აღრიცხვა.

✓ ვალდებულებების ზრდა, რაც ზრდის მთავრობის ვალს (საშინაო და საგარეო ვალი): ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, მთავრობის ვალის მოცულობა, რაც არის მიმდინარე და წინა პერიოდის ვალი, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60%-ს.

1.2. როგორ შესრულდა გადასახდელები (შეგახსენებთ, რომ გადასახდელები არის ის მთლიანი სახსრები, რაც მთავრობამ წლის განმავლობაში დახარჯა. დაწვრილებით იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში):

✓ ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურება.

✓ არაფინანსური აქტივების ზრდა (არაფინანსური აქტივების ზრდად ითვლება 500 ლარის და მეტი ღირებულების ქონების შეძენა[12]). აქ მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის ეტაპზე საინვესტიციო კაპიტალური პროექტების წინასწარი სრულფასოვანი/სწორი შეფასება გაკეთდეს, რათა ეფექტიანად მოხდეს თანხების ათვისება

✓ ფინანსური აქტივების ზრდა (ძირითადად სესხის გაცემა მთავრობის მიერ)

✓ ვალდებულებების კლება (ამცირებს საშინაო და საგარეო ვალს)

გადასახდელების ძირითადი გამოწვევაა არათანაბარი ხარჯვა, რაც თავს იჩენს კალენდარული წლის ბოლო თვეებში, წინა პერიოდთან შედარებით მეტი სახსრების ათვისებით. რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხარვეზები, მაგალითად ნაჩქარევად ჩატარებული ტენდერები.

1.3. როგორია ნაშთის ცვლილება (ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება)

1.4. როგორია ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებული ნაშთები წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის

1.5. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი: რა არის მთლიანი სალდო და როგორ გამოითვლება იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში

შენიშვნა 3:
მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ ერთიანი ბიუჯეტის და არა ნაერთი ან სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი იანგარიშება სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი ბიუჯეტების, სსიპების/ააიპების ბიუჯეტების ერთობლიობიდან, რაც ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

1.6. რა მოცულობით დაიხარჯა მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები[13]

✓ ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 1%-ს.

[12] არაფინანსურ აქტივად ქონების მისაჩნევად ასევე აუცილებელი პირობაა ის, რომ ეს აქტივი ერთ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენებოდეს წარმოების ან მომსახურების პროცესში.
[13] 2019-2020 წწ არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული.

1.7. მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტება, თუ ეს შეუსაბამობა აღემატება 30%-ს

1.8. მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებს და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტება, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს

✓ მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

✓ მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს.

✓ მთავრობის გადაწყვეტილებით, მხარჯავი დაწესებულებებისთვის გამოყოფილი თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ ეს გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს ამ გადასახდელებისთვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. ამ გადანაწილების შესახებ ფინანსთა სამინისტრო აცნობებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ძირითადი კომპონენტებია:

1. საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
2. სარეზერვო ფონდები
3. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები და სხვ.

1.9. რა ოდენობის ტრანსფერები გადაეცათ ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს

1.10. რა ოდენობის თანხები გაიცა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

1.11. რა შედეგებს მიაღწიეს მხარჯავმა დაწესებულებებმა შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში. აქ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ[14]:

✓ შესრულების შესახებ ანგარიშგება სრულად არ მოიცავს ინფორმაციას ბიუჯეტის კანონზე თანდართული პროგრამული დანართით განსაზღვრული ყველა პროგრამის შესახებ, კერძოდ, ზოგიერთი პროგრამისთვის დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვრება მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ამ პროგრამების ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ შეფასების ინდიკატორებთან მიმართებით.

—დღიური

[14] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით.

1 ივნისამდე

1. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ (ზუსტ დროს განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო). მოხსენების განხილვის ფორმატში შეიძლება ყურადღება გამახვილდეს სამთავრობო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვან საფინანსო-საბიუჯეტო ასპექტებზე, მაგ., საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობაზე და ხარჯების ოპტიმიზაციაზე, საგადამხდელო ბალანსზე, რისი გაკეთებაა დაგეგმილი ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის საინვესტიციო დონისთვის მისაღწევად და, საზოგადოდ, იმაზე თუ ფისკალური პოლიტიკა რამდენად უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას (საგადამხდელო ბალანსის, ფისკალური პოლიტიკის, საკრედიტო რეიტინგის საინვესტიციო დონის მოკლე განმარტებები იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში).

2. მთავრობა წარმოადგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

3 ივნისამდე

თქვენ, პარლამენტის აპარატმა უნდა მოგაწოდოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების ასლები. თუ მთავრობა 31 მაისამდე წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, შესაბამისად, ანგარიშსაც უფრო ადრე მოგაწვდით, თუმცა ამ ანგარიშების თქვენთვის მოწოდება 3 ივნისს არ უნდა გადასცდეს[15].

18 ივნისამდე

მომავალი წლის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ დასკვნები წარედგინება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

19 ივნისამდე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და სხვა კომიტეტები მათ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, განიხილავენ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებას და ამზადებენ შესაბამის დასკვნებს. თუ მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს 31 მაისამდე წარმოადგენს, შესაბამისად განხილვაც უფრო ადრე დასრულდება, თუმცა განხილვის ბოლო ვადა 19 ივნისია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ თავის დასკვნას და წინადადებებს სხვა კომიტეტების დასკვნებთან ერთად უგზავნის მთავრობას.

[15] პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, პარლამენტის აპარატი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების ასლებს მათი მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა გადასცემს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას და პარლამენტის დამოუკიდებელ წევრებს, საბიუჯეტო ოფისს, ეროვნულ ბანკს. სწორედ ამ ნორმაზე დაყრდნობით არის მოცემული გზამკვლევში 2 ივნისი.

საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე

პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის დასკვნები. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის, ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების, პარლამენტის კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის დასკვნების განხილვისა და საპარლამენტო კამათის დასრულების შემდეგ, პარლამენტი იღებს დადგენილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე.

– *დღიური*

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხაზინის ინფორმაცია

იგივე ინფორმაცია მარტივი ვიზუალიზაციებით შეიძლება ნახოთ budget-monitor.ge-ზე. სახელმწიფო ხაზინა პარლამენტს წარუდგენს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით (ამ ტერმინების განმარტება იხ. კითხვა-პასუხში გზამკვლევის ბოლოს, ანბანური რიგის მიხედვით).

ბიუჯეტის ხაზინის შესრულების მონაცემები აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, რომელიც სისტემატურად ატარებს ამ მონაცემების დეტალურ ანალიზს.
მაგალითისთვის განვიხილოთ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხაზინის ინფორმაცია.

1. გადასახდელები (შეგახსენებთ, რომ გადასახდელები არის ის მთლიანი სახსრები, რაც მთავრობამ წლის განმავლობაში გამოიყენა):

ბიუჯეტში მოცემული ამ მთლიანი სახსრების ათვისებას შეგიძლიათ გადასახდელების შესრულების ხაზინის ფორმაში მიადევნოთ თვალი.

შენიშვნა 1:
მთავრობამ 2018 წლის ბიუჯეტის გეგმიდან ოთხმოცდაცხრამეტი მილიონ ოთხმოცდაერთი ათას ექვსასოცდაორი ლარით და სამი თეთრით მეტი აითვისა 12,491,100,000.00-12,590,181,622.03= 99,081,622.03

ამონარიდი 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ფორმა E1-დან (ხარჯებში გამოყოფილია მხოლოდ შრომის ანაზღაურება)

ორგ. კოდი	დასახელება	გეგმა	ვალდებულება	რესურსი	მოთხოვნა	გადახდა	დავალ-იანება
0	ჯამური	12,491,100,000.00	12,606,483,187.19	-115,383,187.19	12,590,181,622.03	12,590,181,622.03	0
2	ხარჯები	9,526,424,854.00	9,555,613,777.19	-29,188,923.19	9,543,712,676.51	9,543,712,676.51	0
2.1	**შრომის ანაზღაურება**	**1,408,298,021.34**	**1,410,324,299.18**	**-2,026,277.84**	**1,407,624,176.88**	**1,407,624,176.88**	**0**
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,840,111,029.00	1,916,179,539.83	-76,068,510.83	1,912,171,270.66	1,912,171,270.66	0
32	ფინანსური აქტივების ზრდა	371,364,816.00	381,490,608.29	-10,125,792.29	381,098,412.98	381,098,412.98	0
33	ვალდებულებების კლება	753,199,301.00	753,199,261.88	39.12	753,199,261.88	753,199,261.88	0
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაცები						0
0	ჯამური	62,131,000.00	61,384,965.89	746,034.11	61,154,173.85	61,154,173.85	0
2	ხარჯები	55,496,600.00	54,950,236.52	546,363.48	54,721,441.69	54,721,441.69	0
2.1	შრომის ანაზღაურება	29,518,400.00	29,459,986.32	58,413.68	29,428,448.07	29,428,448.07	0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,634,400.00	6,434,729.37	199,670.63	6,432,732.16	6,432,732.16	0

როგორც ხედავთ, აქ მაგალითისთვის მოყვანილია ერთი მცირე ნაწყვეტი გადასახდელების შესრულების ხაზინის ამ ფორმიდან, კერძოდ, ჯამური მაჩვენებლები და პარლამენტის დაფინანსება.

შენიშვნა 2:
ასევე არსებობს ხაზინის გადასახდელების შესრულების ფორმა E6, რაც ათასობით გვერდს მოიცავს და წარმოადგენს ყველაზე დეტალურ და ღირებულ ინფორმაციას გადასახდელების შესახებ (რა არის გადასახდელები, იხ. კითხვა-პასუხში გზამკვლევის ბოლოს, ანბანური რიგის მიხედვით).

2. **შემოსულობები** (შეგახსენებთ, რომ შემოსულობები არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში გეგმავს)

თუ გსურთ დეტალური წარმოდგენა შეიქმნათ შემოსულობებზე (შემოსულობების განმარტება იხ. კითხვა-პასუხში) საბიუჯეტო ოფისი რეგულარულად მოგაწვდით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ხაზინის გამარტივებულ ინფორმაციას ელექტრონულად დროპბოქსის მეშვეობით. ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ხაზინის მონაცემები ასევე აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, რომელიც რეგულარულად ატარებს ამ მონაცემების სისტემატურ დეტალურ ანალიზს.

საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსულობების ხაზინის ფორმა #1-ში ნახავთ, მაგალითად, საშემოსავლო, დამატებული ღირებულების, მოგების, იმპორტის, ქონების გადასახადების და აქციზის ჩაშლას წყაროების მიხედვით, უამრავ სხვა შემოსულობასთან ერთად და გაიგებთ, მაგალითად, რა თანხა შემოვიდა:

- ✓ გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან
- ✓ ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდების საშემოსავლო გადასახადიდან
- ✓ ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლების საშემოსავლო გადასახადიდან
- ✓ იმპორტირებულ მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადიდან (რა არის აქციზი იხ. კითხვა-პასუხის განყოფილებაში, ანბანური რიგის მიხედვით)
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებულ ლუდზე და სხვა უამრავ შემოსულობაზე აქციზის გადასახადიდან
- ✓ უცხოურ საწარმოთა ქონებაზე
- ✓ სხვა უამრავი წყაროდან

დღიური

ამონარიდი საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების ფორმა # 1-დან ანგარიშგების პერიოდი 01/01/2018 - 01/01/2019

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულის	სულ
ბიუჯეტი	სულ	10 325 300 242,54	2 442 098 474,78	12 767 398 717,32
0	ჯამური	13,251,129,930.85	2,969,587,113.71	16,220,717,044.56
1	შემოსავლები	10,595,384,696.53	2,547,106,139.13	13,142,490,835.66
11	გადასახადები	9,695,962,174.26	810,354,000.29	10,506,316,174.55
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის	2 052 388 497,13	170 832 111,55	2 223 220 608,68
ღირებულების ნაზრდზე	3,614,519,471.75	369,193,712.72	3,983,713,184.47	2 223 220 608,68
1111	ფიზიკური პირებიდან	2,877,895,118.23	369,193,712.72	3,247,088,830.95
11111	საშემოსავლო გადასახადი	2,877,895,118.23	369,193,712.72	3,247,088,830.95
111111	დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო	80 187 611,35	22 094 362,44	102 281 973,79
გადასახადი	2,663,177,307.59	231,179,291.62	2,894,356,599.21	1 288 511 130,79
1111111	გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით	236 736 587,66	24 024 802,76	260 761 390,42
გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან	0	33,979,751.73	33,979,751.73	37 131 139,00
1111112	ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე	0	212,216.49	212,216.49
111112	გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული	8 008 129,45	12 460,88	8 020 590,33
შემოსავლებიდან	4,489,250.40	75,937,471.55	80,426,721.95	4 423 099,13
1111121	გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით	75 777,36	0,00	75 777,36
მიღებული შემოსავლებიდან	-8,607.68	75,775,133.01	75,766,525.33	1 441 635,60
1111122	გადასახადი არამეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით	819 402,79	1 000,00	820 402,79
მიღებული შემოსავლებიდან	4,497,858.08	162,338.54	4,660,196.62	38 948,90
111113	გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული	26 297 639,08	1 557 443,97	27 855 083,05
დივიდენდებიდან	65,579,921.22	8,159,561.47	73,739,482.69	40 047 884,38
111114	გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული	1 025 228 421,62	0,00	1 025 228 421,62
პროცენტებიდან	7,596,039.88	968,860.20	8,564,900.08	1 025 228 421,62
111115	გადასახადი დიპლომატიურ დაწესებულებებში დასაქმებული რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ	960 742 356,64	0,00	960 742 356,64
მიღებული შემოსავლებიდან	10,002,720.46	89,045.39	10,091,765.85	5 489 562,38
111116	არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა)	955 252 794,26	0,00	955 252 794,26
შემოსავლებისა)	0	2,544,725.07	2,544,725.07	29 439 891,77
111118	გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური	0,00	1 134,06	1 134,06
აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან	0	2,341,560.08	2,341,560.08	
1111199	სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი	127,049,878.68	13,781,229.12	140,831,107.80
1112	გადასახადი საწარმოებიდან	736,624,353.52	0	736,624,353.52
11121	მოგების გადასახადი	736,624,353.52	0	736,624,353.52
111219	სხვა არაკლასიფიცირებული მოგების გადასახადი	736,624,353.52	0	736,624,353.52
113	გადასახადები ქონებაზე	16,257.58	441,160,287.57	441,176,545.15
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	16,257.58	441,160,287.57	441,176,545.15
11311	ქონების გადასახადი	16,257.58	441,160,287.57	441,176,545.15
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,530.92	326,257,862.77	326,267,393.69

113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	4,747,137.19	4,747,137.19
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	25,060,100.39	25,060,100.39
1131131	ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ			
ქონებაზე	0	216,903.04	216,903.04	
1131132	არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ			
უძრავ ქონებაზე	0	24,843,197.35	24,843,197.35	
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების			
გადასახადი	4,401.35	22,503,436.12	22,507,837.47	
1131141	ფიზიკური პირებიდან	4,401.35	16,140,791.61	16,145,192.96
1131142	იურიდიული პირებიდან	0	6,362,644.51	6,362,644.51
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე			
ქონების გადასახადი	2,325.31	62,591,751.10	62,594,076.41	
1131151	ფიზიკური პირებიდან	2,325.31	7,164,173.43	7,166,498.74
1131152	იურიდიული პირებიდან	0	55,427,577.67	55,427,577.67
114	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	5,892,636,384.84	0	5,892,636,384.84
1141	საყოველთაო გადასახადები საქონელსა და			
მომსახურებაზე	4,426,909,831.87	0	4,426,909,831.87	
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	4,426,909,831.87	0	4,426,909,831.87
114111	საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული			
პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	1,076,847,469.15	0	1,076,847,469.15	

ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაცია

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად ასევე ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა ყოველდღიური მოკლე ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც ქვეყნდება ბმულზე http://treasury.ge სადაც მოცემულია: შემოსულობები (მათ შორის, გადასახადები), გადასახდელები, ნაშთის ცვლილება.

დღიური

ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვას.

ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც არ უნდა დარჩეს პარლამენტის წევრის ყურადღების მიღმა 6 თვის შესრულების მიმოხილვაში, იხ. 31 მაისის განყოფილებაში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს განვიხილავთ.

სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ შესრულებას, როგორც წესი, განიხილავენ პარლამენტის კომიტეტები. საკომიტეტო განხილვებს ორგანიზებას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგები მოხსენდება პარლამენტს და შესაძლოა მისი განხილვის საგანიც გახდეს.

თქვენ უფლებამოსილი ხართ

✓ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოითხოვოთ და მიიღოთ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან.

დღიური

ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვას.

ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც არ უნდა დარჩეს პარლამენტის წევრის ყურადღების მიღმა 9 თვის შესრულების მიმოხილვაში, იხ. 31 მაისის განყოფილებაში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს განვიხილავთ.

სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ შესრულებას, როგორც წესი, განიხილავენ პარლამენტის კომიტეტები. საკომიტეტო განხილვებს ორგანიზებას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგები მოხსენდება პარლამენტს და შესაძლოა მისი განხილვის საგანიც გახდეს.

თქვენ უფლებამოსილი ხართ

✓ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოითხოვოთ და მიიღოთ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან.

დღიური

II პარლამენტის ახალი ფუნქციები

ინტერპელაცია და პარლამენტის წევრის კითხვა საფინანსო-საბიუჯეტო კონტექსტში

თქვენ პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფთან ან ფრაქციასთან ერთად უფლება გაქვთ ინტერპელაციის წესით წერილობითი შეკითხვით მიმართოთ მთავრობას, მთავრობის წევრს ან პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ნებისმიერ სხვა ორგანოს. შეკითხვა ბარდება პარლამენტის აპარატს, რომელიც მას ადრესატს 1 დღეში გადასცემს.

ინტერპელაციის შეკითხვის ინიცირება თქვენ პარლამენტის ერთ წევრსაც შეგიძლიათ, თუ მის განხილვას პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფში ან ფრაქციაში უზრუნველყოფთ და შემდეგ ჯგუფის/ფრაქციის სახელით წარადგენთ.

ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოცხადდება მარტის, მაისის, სექტემბრისა და ნოემბრის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს და უპასუხებს ყველა შეკითხვას, რომლებიც მას გადაეცა ამ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა. ადრესატი ვალდებულია შეკითხვას პირადად უპასუხოს და ასევე შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარუდგინოს პლენარულ სხდომას.

თქვენ, შეკითხვის ავტორს უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს გამოითხოვოთ შეკითხვა. ამ შემთხვევაში, შეკითხვის ადრესატი პარლამენტის წინაშე აღარ წარდგება.

რა კითხვები შეიძლება დავსვათ ინტერპელაციის ფორმატში?

განსხვავებით პარლამენტის წევრის კითხვისგან, ინტერპელაცია შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი კითხვის დასასმელად, რაც უკავშირდება საჯარო ფინანსების მართვის პოლიტიკის და მისი ცალკეული მიმართულებების ცვლილებების აუცილებლობას, მისი გაგრძელების მიზანშეწონილობას ან სხვა ისეთ საკითხს/შეთავაზებას, რაც მოითხოვს დისკუსიას. ინტერპელაციის კითხვა არ გამოიყენება კონკრეტული მონაცემების მისაღებად.

რა არის პარლამენტის წევრის კითხვა და რა კითხვები შეიძლება დავსვათ ამ ფორმატში?

თქვენ შეგიძლიათ წერილობითი კითხვით მიმართოთ მთავრობას, მთავრობის ნებისმიერ წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, ადგილობრივ ან რეგიონულ ადმინისტრაციას, ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებას. ისინი ვალდებული არიან თქვენს კითხვას გასცენ დროული და სრული პასუხი მისი მიღებიდან 15 დღეში.

პარლამენტის წევრის კითხვა გამოიყენება კონკრეტული მონაცემების მისაღებად და არა რაიმე პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრის ანგარიში სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების შესახებ

თუ 1 ივნისამდე პარლამენტისთვის პრემიერის მიერ სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშში არ არის ის საკითხები, რაზეც გსურთ

პრემიერისგან მიიღოთ ინფორმაცია, თქვენ უფლება გაქვთ კომიტეტის ან ფრაქციის სხდომაზე მოითხოვოთ, რომ პრემიერმა წარმოადგინოს სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში. ამის შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე (იხ. 1 ივნისის განყოფილება).

მინისტრის საათი საფინანსო-საბიუჯეტო კონტექსტში

მინისტრის საათი გულისხმობს წელიწადში ერთხელ მთავრობის ცალკეული წევრების (გარდა პრემიერ-მინისტრისა) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას. ფინანსთა მინისტრი, მაგალითად, წარმოადგენს სამთავრობო პროგრამის საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის ანგარიშს.

მაგალითად, 2018-2020 წწ. სამთავრობო პროგრამის მიხედვით, ვალი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის უნდა იქნას აღებული. აქ შეიძლება დაისვას კითხვა ვალი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის იქნა თუ არა აღებული.

ფინანსთა მინისტრის პარლამენტის წინაშე წარდგომის განრიგისთვის შეგიძლიათ მიმართოთ პარლამენტის ბიუროს.

მაშასადამე, ინტერპელაციის კითხვა, პარლამენტის წევრის კითხვა და მინისტრის საათი საბიუჯეტო საპარლამენტო ზედამხედველობის ძირითადი მექანიზმებია.

თემატური მოკვლევა საფინანსო-საბიუჯეტო კონტექსტში

პარლამენტში შემოსული განცხადებების, ქვეყანაში არსებული რაიმე სიტუაციის ან საჯარო ინტერესის საფუძველზე, თუ გაგიჩნდათ რაიმე აქტუალური საკითხის შესწავლის იდეა, შეგიძლიათ კომიტეტს განსახილველად წარუდგინოთ თემატური მოკვლევის საკითხი/საკითხები.

თემატური მოკვლევის ფორმატში, მაგალითად, შეიძლება განხილულ იქნას

- სახელმწიფო პენსიების ინდექსაცია, კერძოდ ის თუ რა სქემის მიხედვით მოხდება ინდექსაცია
- მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტი ან სხვა საკითხები.

ორივე საკითხის მიმართ არის გამოკვეთილი საჯარო ინტერესი, ხოლო პირველ საკითხთან დაკავშირებით, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით პარლამენტში შეიძლება არაერთი განცხადება შემოვიდეს.

კომიტეტისთვის განსახილველად წარდგენის შემდეგ თავად კომიტეტის ან პარლამენტის რომელიმე მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს და მოკვლევის დაწყებიდან 2 თვის ვადაში ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს ან კომიტეტს. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე[16].

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

თემატური მოკვლევები გამოიყენება თითქმის ნებისმიერი ტიპის პრობლემის თუ საკითხის

[16] პარლამენტის მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოებია: გენდერული თანასწორობის საბჭო, ღია მმართველობის და ბავშვის უფლებათა დაცვის საბჭო.

შესასწავლად. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში თემატური მოკვლევების არეალი საკითხების ისეთ ფართო სპექტრს მოიცავს, როგორიცაა ბრექსიტთან დაკავშირებით მთავრობის მიერ გაწეული საკონსულტაციო ხარჯები, სახელმწიფო მიწის გაყიდვა და მიღებული კანონების ეფექტურობის დადგენა.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებები: საფინანსო-საბიუჯეტო ასპექტები

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საკონტროლო უფლებამოსილებებს პარლამენტი ნდობის ჯგუფის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების მეშვეობით ახორციელებს. ნდობის ჯგუფის საფინანსო-საბიუჯეტო ფუნქციას გარკვეული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ზედამხედველობა შეადგენს, ხოლო იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების საფინანსო-საბიუჯეტო ფუნქციას -- არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების.

საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი უწყებები ნდობის ჯგუფს წარუდგენენ:

1. დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თუ საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება ორ მილიონ ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – ოთხ მილიონ ლარს

2. ინფორმაციას განხორციელებული და მიმდინარე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წელიწადში სულ მცირე ერთხელ.

არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი უწყებები კი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებს წარუდგენენ ამავე ინფორმაციას ამ ოდენობით არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

აუდიტის მუდმივმოქმედი ჯგუფი

აუდიტის მუდმივმოქმედი ჯგუფის მანდატი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვაა და არა მისი ფინანსური აუდიტი. ჯგუფი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებისგან იქმნება და თავად კომიტეტის წინაშეა ანგარიშვალდებული. პარლამენტის კომიტეტების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვასაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი უწევს კოორდინაციას. აუდიტის ჯგუფი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშების განხილვის შედეგად შეიმუშავებს გადაწყვეტილების პროექტს შესაბამისი რეკომენდაციებით და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს, რომელსაც ამტკიცებს კომიტეტი. აღნიშნული რეკომენდაციები შესაძლებელია აისახოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიშის თაობაზე პარლამენტის დადგენილებაში.

აუდიტის ჯგუფი ვალდებულია სესიის განმავლობაში თვეში ერთი სხდომა მაინც მოიწვიოს და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენება სულ მცირე ერთხელ წარუდგინოს.

კომიტეტის თემატური მომხსენებელი

საპარლამენტო საქმიანობის უკეთ წარმართვისა და პარლამენტის წევრთა შორის

შრომის განაწილების მიზნით კომიტეტის წევრი კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, არის თემატური მომხსენებელი. თემატური მომხსენებლის სამუშაო სფერო/მიმართულება განისაზღვრება ყოველწლიურად, კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

III ვინ როგორ დაგეხმარებათ

საბიუჯეტო მონიტორი budgetmonitor.ge

საბიუჯეტო მონიტორი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიტიკური პორტალია, სადაც საბიუჯეტო მონაცემები უპრეცედენტოდ მარტივი ვიზუალიზაციებითაა წარმოდგენილი. საბიუჯეტო მონიტორის მოწყობილობა პარლამენტში განთავსებულია მე-5 სართულზე საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის ფოიეში.

პორტალი დიდ დახმარებას გაგიწევთ სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტებთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტებთან და საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებული თქვენს კითხვებზე პასუხის სწრაფად გაცემაში, კერძოდ, პორტალზე მარტივი გრაფიკული ვიზუალიზაციებით ნახავთ:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მაჩვენებლებს

✓ რამდენია და რისგან შედგება სახელმწიფო ბიუჯეტი და როგორია მისი ათვისების მდგომარეობა, მათ შორის პროგრამების მიხედვით

2. რამდენია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები და რა ოდენობის ტრანსფერს იღებს თითოეული

3. სახელმწიფო ვალი

✓ რამდენია, რამდენად მდგრადია და რა ვალდებულებებისგან შედგება საშინაო და საგარეო ვალი

✓ რა გავლენას ახდენს ლარის კურსის ცვლილება ვალის გადახდაზე

4. ისეთ ადმინისტრაციული ხარჯებს, როგორიცაა

✓ დასაქმებულთა რაოდენობა, შრომის ანაზღაურების ხარჯები, დანამატების და პრემიების წილი შრომის ანაზღაურებაში

5. აუდიტის შედეგები და რეკომენდაციები ამასთან, კონკრეტული კითხვის გარეშე პორტალის პერიოდულად დათვალიერება ძალიან კარგ წარმოდგენას შეგიქმნით საჯარო ფინანსების მიმდინარე მდგომარეობის და გამოწვევების შესახებ

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატი, კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, მოგაწვდით:

✓ პასუხს სახელმწიფო ფინანსებთან და მის ხარჯვასთან დაკავშირებით თქვენს შეკითხვებზე

✓ საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, საგადასახადო-საბაჟო სფეროებში კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს

✓ კომიტეტის შეფასებას და შესაბამის დასკვნებს, ცნობებს, რეკომენდაციებს და გადაწყვეტილებებს საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო-საბაჟო და სავალუტო სისტემაში გასატარებელ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

✓ დასკვნებს და ინფორმაციას კანონ-პროექტების თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ

✓ ბიუჯეტის პროექტზე დასკვნას

✓ ინფორმაციას სხვა კომიტეტებსა და ფრაქციებში ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ

✓ ინფორმაციას შესაბამისი კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

✓ სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამებით განსაზღვრული ასიგნებების ყოველთვიური შესრულების ანალიზს

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მოგაწვდით:

თავისი საქმიანობის წლიური გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად:

- დამოუკიდებელ მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის, რაც საშუალებას მოგცემთ შეაფასოთ მთავრობის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძვლიანობა
- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თვიური, კვარტალური და წლიური შესრულების ანალიზს
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების წლიური შესრულების ანალიზს
- კვლევებს ფისკალური, მაკროეკონომიკური და საჯარო ფინანსების მართვის საკითხების შესახებ, რომელთა თემატიკა შეირჩევა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად
- კომიტეტის დაინტერესების შემთხვევაში და არსებული რესურსების გათვალისწინებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას კომიტეტების აპარატების მიერ მათ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროებისათვის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის ეფექტიანად განსახორციელებლად; ასევე საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის მიერ განსაზღვრული რეგულაციისათვის რეგულირების/ გენდერული გავლენის შეფასების მომზადებაში დახმარებას
- საექსპერტო დასკვნებს, ანალიზის შედეგებს და შეფასებებს

საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული ანგარიშები / დასკვნები / კვლევები / პუბლიკაციები, ასევე ინფორმაცია გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომის და მონაცემების წყაროს შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია მის ოფიციალურ ვებგვერდზე http://www.pbo.parliament.ge/ge.

საბიუჯეტო ოფისი არ გასცემს საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

პარლამენტის კვლევითი ცენტრი მოგაწვდით:

✓ თქვენს შეკითხვებზე პასუხს და მათთან დაკავშირებულ საინფორმაციო-ანალიტიკურ მასალებს მიმართვიდან არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა

✓ განხილვის პროცესში მყოფ საკითხებზე პოლიტიკის კვლევის დოკუმენტებს

✓ ანალიტიკურ მიმოხილვებს (მათ შორის, შედარებით მიმოხილვებს) მიმდინარე აქტუალურ თემებზე

განსხვავებით საბიუჯეტო ოფისისგან, რომელსაც კვლევის საკუთარი გეგმით განსაზღვრული დღის წესრიგი აქვს, პარლამენტის კვლევითი ცენტრი ბიუჯეტთან და საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ ისეთ კითხვებზე მოგაწვდით პასუხებს, როგორიცაა, მაგალითად, სარეზერვო ფონდებიდან ხარჯვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ან, მაგალითად, როგორ აღრიცხავენ შემოსავლებს სხვა ქვეყნებში.

პარლამენტის თქვენი კომიტეტების აპარატი უზრუნველყოფს:

კომიტეტის კომპეტენციის სფეროში ბიუჯეტის ანალიზს.

IV | კითხვა-პასუხი

ქვემოთ ანბანური რიგის მიხედვით მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო კითხვებზე პასუხები, რაც ბიუჯეტის კანონის და შესრულების ანგარიშგების აღქმაში დაგეხმარებათ. თუმცა სანამ კითხვა-პასუხზე გადავალთ, ბიუჯეტში მოცემული თანხების სწორად წასაკითხად გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბიუჯეტის კანონს ან შესრულების ანგარიშებს და თანდართულ დოკუმენტაციას ზედა მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში შეიძლება ჰქონდეს მინაწერი ათას ლარებში ან მილიონ ლარებში.

შენიშვნა: მინაწერი *ათას ლარებში* ნიშნავს, რომ, მაგალითად, 5000 ათასი ლარი არის 5 მილიონი ლარი. მინაწერი *მილიონ ლარებში* კი ნიშნავს, რომ, მაგალითად, 5000 მილიონი ლარი არის 5 მილიარდი ლარი. თუ ამგვარი მინაწერი არ გვაქვს, რიცხვები ჩვეულებრივ უნდა წაიკითხოთ. განვიხილოთ სამივე შემთხვევა მაგალითებით:

ცხრილი 1

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	9,750,326.9	10,595,649.4	10,487,700.00

მაშასადამე, 2017 წლის ფაქტობრივმა შემოსავლებმა შეადგინა ცხრა მილიარდ შვიდას ორმოცდაათი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ცხრაასი ლარი, 2018 წლის ფაქტობრივმა შემოსავლებმა -- ათი მილიარდ ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი მილიონ ექვსას ორმოცდაცხრა ათას ოთხასი ლარი, ხოლო 2019 წლის დაგეგმილმა შემოსავლებმა -- ათი მილიარდ ოთხას ოთხმოცდაშვიდი მილიონ, შვიდასი ათასი ლარი.

ცხრილი 2

მლნ. ლარებში

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
მთლიანი შიდა პროდუქტი	27, 100	28, 400	29,700

მაშასადამე, 2016 წლის მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა ოცდაშვიდი მილიარდ ასი მილიონი ლარი, 2017 წლის მთლიანმა შიდა პროდუქტმა -- ოცდარვა მილიარდ ოთხასი მილიონი ლარი, ხოლო 2018 წლის დაუზუსტებელმა მთლიანმა შიდა პროდუქ-ტმა -- ოცდაცხრა მილიარდ შვიდასი მილიონი ლარი.

ცხრილი 3

დასახელება	გეგმა	ვალდებულება	რესურსი	მოთხოვნა	გადახდა
ხარჯები	12,491,100,000.00	12,606,483,187.19	115,383,187.19	12,590,181,622.03	12,590,181,622.03

აქ რიცხვებს წაიკითხავთ ისე, როგორც წერია, მაგალითად, გეგმის გრაფაში წერია: თორმეტი მილიარდ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ასი ათასი ლარი.

შენიშვნა: მძიმეებით მთელი რიცხვები გამოიყოფა, წერტილებით კი -- ათწილადები, თუმცა თუ გვაქვს მინაწერი ათას ლარებში ან მილიონ ლარებში, ეს ათწილადებიც მთელ რიცხვებად იქცევა, როგორც პირველი ორი ცხრილი გვიჩვენებს, ხოლო მესამე ცხრილში კი, სადაც ამგვარი მინაწერი არ გვაქვს, წერტილებით გამოყოფილი ათწილადები დარჩება ათწილადებად, მაგალითად, მე-3 ცხრილის ვალდებულების გრაფაში წერტილის შემდეგ მდგომი 19 ნიშნავს ცხრამეტ თეთრს.

ა

რა არის არაფინანსური აქტივების კლება?

არაფინანსური აქტივების კლება არის სახელმწიფო ქონების გასხვისებიდან მიღებული სახსრები.

რა არის არაფინანსური აქტივების ზრდა?

არაფინანსური აქტივების ზრდა არის სახელმწიფოს მიერ 500 ლარის და მეტი ღირებულების ქონების შეძენა. ასევე აუცილებელი პირობაა ის, რომ ეს ქონება ერთ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენებოდეს. მაგალითად, მაგიდა ან სხვა ნებისმიერი ნივთი, რომელიც, ღირს 499 ლარი, ტარდება ხარჯებში, 500 ლარიანი მაგიდა ან სხვა ნებისმიერი ნივთი კი უკვე ქონებად, ანუ არაფინანსურ აქტივად მიიჩნევა.

რა არის არაფინანსური აქტივების ცვლილება?

არაფინანსური აქტივების ცვლილება არის არაფინანსური აქტივების ზრდის და კლების სხვაობა.

რა არის არაპირდაპირი გადასახადი?

გადასახადი (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება შესაძენი საქონლის ან მომსახურების ფასზე დანამატის სახით და იხდის მყიდველი.

რა არის ასიგნება?

ასიგნება არის ბიუჯეტიდან ნებისმიერი მიზნით გამოყოფილი თანხის ხარჯვის უფლებამოსილება, მაგ., რომელიმე პროგრამისთვის, ვალდებულებების დასაფარად და სხვ. ყველა ასიგნება ერთად გვაძლევს გადასახდელებს (გადასახდელების განმარტება იხ. ქვემოთ).

რა არის აქციზი?

აქციზი არის არაპირდაპირი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომლითაც იბეგრება ისეთი ფართო მოხმარების საქონელი ან მომსახურება, როგორიცაა, ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, მობილური საკომუნიკაციო მომსახურება.

ბ

რა არის ბიუჯეტის განწერა?

ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველკვარტალურად განაწილება.

რა არის ბიუჯეტი კაპიტალური?

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი აქვთ და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას.

ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია

დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტთან.

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ✓ შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,000 ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები
- ✓ მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,000 ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია აღწერს თუ როგორ უნდა მოხდეს კაპიტალური ბიუჯეტის მომზადება, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. კაპიტალური ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცალკე დანართად არის წარმოდგენილი.

რა არის ბიუჯეტი ერთიანი?

ერთიანი ბიუჯეტი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალური და სსიპების/ააიპების ბიუჯეტების კონსოლიდაცია, რასაც ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანო არ ამტკიცებს.

რა არის ბიუჯეტი ნაერთი?

ნაერთი ბიუჯეტი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდაცია, რასაც ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანო არ ამტკიცებს.

რა არის ბიუჯეტი სახელმწიფო?

სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი, არის ის სახსრები, რომელთაც მთავრობა მიიღებს და დახარჯავს წლის განმავლობაში თავისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად, ნაშთის ცვლილების ჩათვლით (ნაშთის ცვლილების განმარტება იხ. ქვემოთ).

რა არის ბიუჯეტი ცენტრალური?

ცენტრალური ბიუჯეტი არის სახელმწიფო და სსიპების/ააიპების ბიუჯეტების კონსოლიდაცია, რასაც ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანო არ ამტკიცებს.

რა არის ბიუჯეტი პროგრამული?

პროგრამული ბიუჯეტი:

1. აგებულია არა მხარჯავ დაწესებულებებზე, არამედ მათ პროგრამებზე, მაგ.: პროგრამული ბიუჯეტირების დროს ფულს ვაძლევთ არა მხარჯავ დაწესებულებას, ვთქვათ, ჯანდაცვის სამინისტროს, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის ან ტუბერკულოზის პროგრამას. პროგრამული ბიუჯეტი გვაჩვენებს რა მიზნის მიღწევას ხმარდება ფული და არა რომელ უწყებას.

2. განსაზღვრავს პრიორიტეტებს და მიზნებს პროგრამული ბიუჯეტის მოქმედების მთე-

ლი პერიოდის განმავლობაში: პროგრამული ბიუჯეტი შედგება პროგრამებისგან, რომ-ლებიც, ჩვეულებრივ, ოთხ წელიწადში უნდა განხორციელდეს, ხოლო ეს პროგრამები, თავის მხრივ, შედგება ქვეპროგრამებისგან, რომლებიც თორმეტ თვეში უნდა განხორციელდეს. პროგრამების კოდი ოთხნიშნაა, ქვეპროგრამებისა კი - ექვსნიშნა, ან რვანიშნა, რაც უთითებს იერარქიაზე, მაგ.,

- ✓ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამის კოდია 27 02, სადაც 27 ჯანდაცვის სამინისტროს კოდია, ხოლო 02 -- სოციალური დაცვის პროგრამის რიგითი ნომერი.
- ✓ ამ სოციალური დაცვის პროგრამის ნაწილია, მაგ., სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის ქვეპროგრამა, რომლის კოდია 27 02 03, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად: 27 02-ის გამეორება უთითებს იმაზე, რომ ეს ქვეპროგრამა ეკუთვნის სოციალური დაცვის პროგრამას (27 02), ხოლო 03 არის ქვეპროგრამის რიგითი ნომერი. ეს რიგითი ნომერი უთითებს იმაზე, რომ ეს ქვეპროგრამა არის სოციალური დაცვის პროგრამის რიგით მესამე ქვეპროგრამა.

3. აკავშირებს განსახორციელებელ ღონისძიებებს მიზნებთან და დაგეგმილ შედეგებთან. განსახორციელებელი ღონისძიებაა, მაგალითად, რაც ქვეპროგრამის ფარგლებში, ანუ 12 თვის განმავლობაში უნდა განვახორციელოთ, მაგალითად, ორი სხვადასხვა პუნქტის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.

4. განსაზღვრავს შუალედურ (12 თვე) და საბოლოო (4 წელი) შედეგებს, მაგ.:

- ✓ შუალედური შედეგი, რომელიც ქვეპროგრამის ფარგლებში, ანუ 12 თვის გან-მავლობაში მიიღწევა, შეიძლება იყოს გაუმჯობესებული მიმოსვლა ამ ორ პუნქტს შორის
- ✓ საბოლოო შედეგი, რომელიც პროგრამის ფარგლებში, ანუ 4 წლის განმავლობაში მიიღწევა, მაგალითად, შეიძლება იყოს ამ ორ პუნქტს შორის გაუმჯობესებული მიმოსვლით გაზრდილი ეკონომიკური აქტივობა, მაგ., მეტი ტურისტი ამ ორი პუნქტიდან ერთ-ერთში ან ორივეში.

5. ზომავს ამ შუალედურ (12 თვე) და საბოლოო (4 წელიწადი) შედეგებს.

ბოლო საბაზისო მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევადაროთ პროგრამის/ ქვეპროგრამის ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული შედეგი იმ მდგომარეობას, რაც მანამდე იყო. საბაზისო მონაცემების შეგროვების გარეშე პროგრამული ბიუჯეტით პროგრამის/ქვეპროგრამის ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებულ შედეგს ვერ დავინახავთ, მაგ.:

- ✓ შუალედური შედეგის ინდიკატორი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის ამ ორ პუნქტს შორის გადაადგილებული ადამიანების რაოდენობა ამ ორ პუნქტს შორის გზის მოწყობამდე არსებულ (საბაზისო) მონაცემთან შედარებით
- ✓ საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეიძლება იყოს, მაგალითად, მუნიციპალიტე-ტის ამ ორი პუნქტის დაკავშირების შემდეგ ეკონომიკური აქტივობის დონე გზის მოწყობამდე არსებულ (საბაზისო) მონაცემთან შედარებით

ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით:

1. აქვს თუ არა ჩაშლილი ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებას ბიუჯეტი ქვეპროგრა-მებად? (ამ ჩაშლის გარეშე შეუძლებელია საბოლოო და შუალედური შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მათ შორის შესაბამისობის დადგენა).

2. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე (საბიუჯეტო განაცხადში) ხომ არ არის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა ნაწილსაც მიზნობრიობა არ აქვს და მათ ფარგლებში

განსახორციელებელი ღონისძიებებისა და აქტივობების განსაზღვრა მოგვიანებით, წლის განმავლობაში ხდება?(რა არის საბიუჯეტო განაცხადი იხ. ქვემოთ).

3. პროგრამული დანართით წარმოდგენილი ქვეპროგრამის ინდიკატორებს აქვთ თუ არა მიზნობრივი მაჩვენებლები? (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, შეფასების ინდიკატორების ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების გაზომვას და პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას; პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილი შეფასებისათვის საჭიროებს დამატებით ინდიკატორს; არასრულად ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების მაჩვენებლების განსაზღვრა).

4. არის თუ არა ისეთი სრულიად არაგაზომვადი ინდიკატორები, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის კმაყოფილების ზრდა და მისთ.

ინდიკატორები განვიხილოთ რამდენიმე კარგი და ცუდი მაგალითით:

1. სკრინინგის ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ცუდი ინდიკატორია: ძუ-ძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების შემცირება.

2. სკრინინგის ქვეპროგრამის შუალედური შედეგის კარგი ინდიკატორია: ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს ახლად გამოვლენილ შემთხვევებში მე–4 და მე–3 სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილის შემცირება 5%-ით გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით.

3. საყოველთაო ჯანდაცვის ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ცუდი ინ-დიკატორია: სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

4. საყოველთაო ჯანდაცვის ქვეპროგრამის შუალედური შედეგის კარგი ინ-დიკატორებია:

- ✓ პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ ამბულატორიული მომსახურებისთვის გადახდილ მთლიან დაფინანსებაში სამედიცინო შემოწმებე-ბის, ლაბორატორიული გამოკვლევების, სხვა დიაგნოსტიკური გამოკვლევების, სა-მედიცინო პერსონალის ანაზღაურების, ზედნადები ხარჯების და სხვა კომპონენტების წილები
- ✓ პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობისთვის გადახდილ მთლიან დაფინანსებაში სამედიცინო შემოწმებების, ლაბორატორიული გამოკვლევების, სხვა დიაგნოსტიკური გამოკვლევების, სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების, ზედნადები ხარჯების და სხვა კომპონენტების წილები
- ✓ მოსარგებლის მიერ სამედიცინო დაწესებულების შეცვლის საშუალო პერიოდულობა
- ✓ გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობაში ჭარბი მოხ-მარების მაჩვენებელი (რა სიხშირით არღვევენ მომსახურების მიმწოდებლები პროგრამის პირობებს დამატებითი შემოსავლის მისაღებად ბენეფიციარებისთვის იმ მომსახურების გაწევით, რაც ამ უკანასკნელთ არ ეკუთვნით)
- ✓ პროგრამაში გამოვლენილ დარღვევებზე პროვაიდერებისთვის (პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებისთვის) დაკისრებული საჯარიმო სანქციების რაოდენობა.

რა არის ბიუჯეტის მთლიანი სალდო?

ბიუჯეტის მთლიანი სალდო იგივე ბიუჯეტის დეფიციტი ან პროფიციტია. ბიუჯეტის

დეფიციტის და პროფიციტის გაგება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ბევრ ადამიანს ჰგონია და ამისთვის სულ სამი მარტივი გამოკლებაა საჭირო: შემოსავლებს გამოვაკლებთ ხარჯებს და გამოვაკლებთ ქონების გაყიდვასა და შეძენას შორის სხვაობას (ანუ არაფინანსური აქტივების ცვლილებას). თუ მივიღებთ უარყოფით რიცხვს, გვექნება ბიუჯეტის დეფიციტი, თუ მივიღებთ დადებითს - პროფიციტი.

მნიშვნელოვანია შევხედოთ ერთიანი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტები და სსიპების/ააიპების ბიუჯეტები. იმისთვის, რომ მთლიანი დეფიციტი გავზომოთ, უნდა ავიღოთ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, ანუ ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შეგიძლიათ ნახოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური და მაკროეკონომიკური ინდიკატორების დანართში.

გ

რა არის გადასახადი? სავალდებულო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი (დღგ, საშემოსავლო, მოგების გადასახადი, აქციზი და ა.შ.).

რა არის გადასახდელები?

გადასახდელები, განსხვავებით ხარჯებისგან, არის ის მთლიანი სახსრები, რომელიც მთავრობას შეუძლია წლის განმავლობაში გამოიყენოს, კერძოდ:

1. ხარჯები:
   1.1. შრომის ანაზღაურება
   1.2. საქონელი და მომსახურება
   1.3. პროცენტი
   1.4. სუბსიდიები
   1.5. გრანტები
   1.6. სოციალური უზრუნველყოფა
   1.7. სხვა ხარჯები
2. არაფინანსური აქტივების ზრდა
3. ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)
4. ვალდებულებების კლება (ვალის ძირის დაფარვაზე მიმართული სახსრები).

შესაბამისად, ხარჯები, როგორც ხშირად არასწორად ჰგონიათ ხოლმე, არ არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა გამოყენებაც მთავრობას წლის განმავლობაში შეუძლია (შედარებისთვის იხ. შემოსულობების განმარტება ქვემოთ).

დ

რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა?

დაზუსტებული გეგმა არის დამტკიცებულ გეგმაში წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით კორექტირებული გეგმა.

რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა?

დამტკიცებული გეგმა არის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში მოცემული პარამეტრები, რასაც პარლამენტი ამტკიცებს დეკემბრის ბოლომდე.

რა არის დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - არაპირდაპირი გადასახადის ერთ-ერთი სახე, რომელსაც იხდის მომხმარებელი საქონლის ან მომსახურების შეძენისას.

რა არის დებიტორული დავალიანება და რატომ ითხოვს თქვენს ყურადღებას?

დებიტორული დავალიანება არის სხვების (ბიზნესის, ფიზიკური პირების და ა.შ.) დავალიანება მთავრობის მიმართ. აქ მნიშვნელოვანია: 1. რომელ საბიუჯეტო დაწესებულებას რამდენი დებიტორული დავალიანება აქვს (ანუ როგორია მთელი დებიტორული დავალიანების ჩაშლა საბიუჯეტო დაწესებულებების მიხედვით) 2. როდის დაასრულებს მომწოდებელი საბიუჯეტო დაწესებულებისთვის მომსახურების/სამუშაოს გაწევას ან საქონლის მიწოდებას 3. რა ზომებს მიმართავს ფულის დასაბრუნებლად საბიუჯეტო დაწესებულება/მთავრობა იმ შემთხვევაში, როცა მომსახურების/სამუშაოს გაწევის ან საქონლის მიწოდების იმედი აღარ არსებობს.

ვ

რა არის ვალდებულება?

ვალდებულება არის სესხების აღება და მათი ძირის დაფარვა.

რა არის ვალდებულებების ზრდა?

ვალდებულებების ზრდა არის სესხის აღება. ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონის მიხედვით, მთავრობის ვალის მოცულობა, რაც არის მიმდინარე და წინა პერიოდის ვალი, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60%-ს.

რა არის ვალდებულებების კლება?

ვალდებულებების კლება არის სესხის ძირის დაფარვა.

რა არის ვალდებულებების ცვლილება?

ვალდებულებების ცვლილება არის ვალდებულებების ზრდას და კლებას შორის სხვაობა.

ი

ვინ არის იმპორტის გადასახადის გადამხდელი?

გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. თუ რა განაკვეთებით რა საქონელი იბეგრება და რა შეღავათებით არის შესაძლებელი სარგებლობა იხ. საგადასახადო კოდექსის 195-199 მუხლები.

კ

რა არის კრედიტორული დავალიანება?

კრედიტორული დავალიანება არის სხვების (ბიზნესის, ფიზიკური პირების და ა.შ.) მიმართ მთავრობის დავალიანება.

ნ

რა არის ნაშთი?

ნაშთი არის შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე გარკვეული პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები.

რა არის ნაშთის ცვლილება?

ნაშთის ცვლილება არის შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

როდის ხდება ნაშთის დაგროვება?

ნაშთის დაგროვება ხდება მაშინ, როდესაც შემოსულობები მეტია გადასახდელებზე.

როდის ხდება ნაშთის გამოყენება?

ნაშთის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც შემოსულობები ნაკლებია გადასახდელებზე.

პ

რა არის პირდაპირი გადასახადი?

პირდაპირი გადასახადია გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო უშუალოდ ამოიღებს გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან და ქონებიდან. მას განეკუთვნება საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი.

რა არის პირობითი ვალდებულება?

პირობითი ვალდებულება არის

1. შესაძლო ვალდებულება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის ან გადაწყვეტილებისგან, რაც ამ ვალდებულების შემსრულებლის ან დაზარალებულის სრული კონტროლის ქვეშ არ არის, მაგალითად, სასამართლო დავა.

2. რაიმე ამჟამინდელი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს წარსული მოვლენებისაგან, მაგრამ არ არის აღიარებული, რადგან:

2.1.ნაკლებად სავარუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება რაიმე რესურსის გადინება

2.2 ვერ ხერხდება ვალდებულებათა თანხის შეფასება საფუძვლიანად და საიმედოდ

ს

რა არის საბიუჯეტო (ფისკალური) წელი?

საბიუჯეტო (ფისკალური) წელი იგივე კალენდარული წელია.

რა არის საბიუჯეტო პროცესი?

საბიუჯეტო პროცესი არის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, დაზუსტება, ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი.

რა არის საბიუჯეტო განაცხადი?

საბიუჯეტო განაცხადი არის ის დოკუმენტი, რომლითაც საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებები გეგმავენ საკუთარ ბიუჯეტს და ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენენ არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.

რა არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები?

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი.

რა არის საგადამხდელო ბალანსი?

საგადამხდელო ბალანსი არის საქართველოს და ყველა სხვა ქვეყანას შორის განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების შედეგი. ამ ფულადი ტრანზაქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია იმპორტი, ექსპორტი და შემოსავალი ინვესტიციებიდან. ექსპორტი და შემოსავალი ინვესტიციებიდან საგადამხდელო ბალანსს აუმჯობესებს, ხოლო იმპორტი -- აუარესებს.

რადგან საქართველოს იმპორტი აღემატება ექსპორტს, ჩვენი სავაჭრო ბალანსი ტრადიციულად უარყოფითია. საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაბალანსება შეიძლება მოხდეს ინვესტიციებით, სხვა ქვეყნისგან ვალის აღებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეროვნული ბანკის რეზერვების გამოყენებით.

რა არის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები?

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებია:

1. საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
2. საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
3. მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები
4. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
5. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი
6. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები
7. სხვა კატეგორიები, თუ ასეთი განისაზღვრა წლიური ბიუჯეტით.

რა არის საკასო ხარჯი?

საკასო ხარჯი არის ფულადი ოპერაცია, კერძოდ, ანგარიშიდან ფულის გადახდა/გადარიცხვა. შეადარეთ ქვემოთ მოცემულ ფაქტობრივ ხარჯს.

რა არის მთლიანი საფინანსო რესურსი?

მთლიანი საფინანსო რესურსი არის შემოსულობებს პლუს ნაშთის გამოყენება, ანუ ის სახსრები, რომელთა გამოყენებასაც მთავრობა წლის განმავლობაში გეგმავს.

რა არის მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები?

მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები იქმნება სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ორივე ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 1 პროცენტს. სარეზერვო ფონდების მთლიანი მოცულობის გაზრდა შესაძლებელია თითოეული სარეზერვო ფონდის დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით არაუმეტეს 20%-ით. 2019 და 2020 წლის ბიუჯეტებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი აღარ არის გათვალისწინებული.

რას მოიცავს საქონელი და მომსახურება?

საქონელი და მომსახურება მოიცავს ოფისის ხარჯებს, მივლინებებს, კომუნალურ, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას, წარმომადგენლობით ხარჯებს, კვების ხარჯებს, სამედიცინო ხარჯებს, სხვა საქონელსა და მომსახურებას და სხვ.

რა არის სუბსიდიები?

სუბსიდიები არის საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფოს მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული თანხები.

რა არის სხვა შემოსავლები?

სხვა შემოსავლები არის პროცენტებიდან, დივიდენდებიდან, რენტიდან, სანქციებიდან, ჯარიმებიდან, საურავებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან, ჰუმანიტარული დახმარებებიდან და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებული სახსრები.

რა ხარჯებს მოიცავს „სხვა ხარჯები“?

1. სხვა ხარჯები

1.1. ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა

1.1.1.დივიდენდები არარეზიდენტებს

1.1.2.დივიდენდები რეზიდენტებს

1.1.3. რენტა

1.1.4. ხარჯები რეინვესტირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე

1.2. მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

1.2.1. შენობა-ნაგებობის დაზღვევის ხარჯი

1.2.2. დანადგარების დაზღვევის ხარჯი

1.2.3. სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი

1.2.4.პერსონალის დაზღვევის ხარჯი

1.2.5. დაზღვევის სხვა ხარჯები

1.2.6. მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯი

1.2.7. სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯი

1.2.8. სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიების ხარჯი

1.2.9. პრეზიდენტის სახელობის გრანტების ხარჯი

1.2.10 პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიების ხარჯი

1.2.11. პრეზიდენტის სახელობის სამეცნიერო გრანტების ხარჯი

1.2.12. სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი

1.2.13. სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი

1.2.14. გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის)

1.2.15. მოსაკრებლები

1.2.16. საკომისიოები

1.3. დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის

სქემით გადასახდელი პრემიები, გადახდები და მოთხოვნები

1.3.1.სადაზღვევო პრემიები ჩარიცხვები და მოთხოვნები

1.3.2. სადაზღვევო პრემიები

„სხვა ხარჯების“ მუხლის ჩაშლა მოცემულია ბიუჯეტის დანართში „ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ („სხვა ხარჯების“ მუხლის ჩაშლა 2013 წლიდან დაიწყო, რაც საშუალებას გაძლევთ თვალი მიადევნოთ, თუ რისი დაფინანსება იგეგმება ამ მუხლით).

რა არის საოპერაციო სალდო?

საოპერაციო სალდო არის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა.

მუნიციპალიტეტებისთვის ფინანსური დახმარება: დღგ-ს განაწილების ახალი წესი

გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად 2019 წლიდან თითოეული მუნიციპალიტეტი ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-ის გარკვეულ წილს, რისი ცხრილიც მოცემული სახ. ბიუჯეტის კანონის მე-7 თავში.

დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების ახალმა სისტემამ ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი. ახალ სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდია 2019 წლიდან 2023 წლამდე.

2019-2020 წლებში დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-დან თითოეული მუნიციპალიტეტს განესაზღვრება წილი. ამ 19%-ის რამდენი პროცენტი რომელ მუნიციპალიტეტში წავა განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის მე-7 თავში.

რა არის მიზნობრივი ტრანსფერი?

მიზნობრივი ტრანსფერი არის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველი ერთეულისთვის სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

რა არის სპეციალური ტრანსფერი?

სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების, ანუ ზიანის სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება გამოუყოს სახელმწიფო ბიუჯეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტმა ან სხვა ადგილობრივმა თვითმმართველობამ.

რა არის კაპიტალური ტრანსფერი?

კაპიტალური ტრანსფერი არის კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად გაწეული ფინანსური დახმარება, რაც ზრდის ტრანსფერის მიმღების ქონებას, ანუ არაფინანსურ აქტივებს. კაპიტალური ტრანსფერი ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება გამოუყოს სახელმწიფო ბიუჯეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტმა ან სხვა ადგილობრივმა თვითმმართველობებმა. კაპიტალური ტრანსფერები გაიცემა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (იხ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-8 თავის მე-18 მუხლი) და სხვა წყაროებიდან.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები დამტკიცებულია მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხა გამოიყოფა თვითმმართველი ერთეულის მიერ თანადაფინანსების შემთხვევაში, რის წესსაც განსაზღვრავს მთავრობა.

რა არის საკრედიტო რეიტინგის საინვესტიციო დონე?

საკრედიტო რეიტინგის საინვესტიციო დონე შესაძლებელს გახდის საქართველოში საერთაშორისო მსხვილი საინვესტიციო ფონდების და, საზოგადოდ, მაღალი ხარისხის ინვესტიციების მოზიდვას და იაფ ფინანსურ რესურსებზე წვდომას, მათ შორის კერძო სექტორისათვის. ამისთვის მთავრობა შეიმუშავებს საშუალოვადიან სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას. მთავრობის ეკონომიკური გადაწყვეტილებები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ სტრატეგიასთან და სამოქმედო გეგმასთან.

ფ

რა არის ფუნქციონალური კლასიფიკაცია?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუნქციონალური კლასიფიკაცია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-3 თავის მე-9 მუხლშია მოცემული, გვაძლევს ცალკეული დარგების და ამ დარგების შიგნით სექტორების დაფინანსებას. ბიუჯეტის კანონში (მე-3 თავის მე-9 მუხლი) ქვემოთ მოცემულ ცხრილში არსებული ზოგიერთი სექტორის დაფინანსება შესაძლოა არ იყოს მოცემული, თუმცა თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია ამ ცხრილში მოცემული ნებისმიერი სექტორის დაფინანსების შესახებ შეგიძლიათ ფინანსთა სამინისტროსგან გამოითხოვოთ.

1.საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა
საგარეო ურთიერთობები
საგარეო ეკონომიკური დახმარება
საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება
საერთო დანიშნულების მომსახურება
საერთო საკადრო მომსახურება
საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება

საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება
ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები
გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები (არ შედის ვალის ძირითადი ნაწილის დაფარვა. შედგება მხოლოდ ვალის საპროცენტო მომსახურებისა და კრედიტების საგარანტიო ხარჯების და სახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულებების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისგან)
საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში
2. თავდაცვა
შეიარაღებული ძალები
სამოქალაქო თავდაცვა
გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში
3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა
სახანძრო-სამაშველო სამსახური
სასამართლოები და პროკურატურა
სასჯელაღსრულების დაწესებულებები
გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში
4. ეკონომიკური საქმიანობა
საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა
საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა
შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა
სოფლის მეურნეობა
სატყეო მეურნეობა
მეთევზეობა და მონადირეობა
სათბობი და ენერგეტიკა
ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი
ნავთობი და ბუნებრივი აირი
ბირთვული საწვავი
სხვა სახის საწვავი
ელექტროენერგეტიკა
არაელექტრული ენერგია
სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა
მინერალური რესურსების მოპოვება მინერალური საწვავის გარდა
გადამამუშავებელი მრეწველობა
მშენებლობა
ტრანსპორტი
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები
საზღვაო ტრანსპორტი
სარკინიგზო ტრანსპორტი
საჰაერო ტრანსპორტი
მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები

კავშირგაბმულობა
ეკონომიკის სხვა დარგები
ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება
სასტუმროები და რესტორნები
ტურიზმი
მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები
გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში
გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში
გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში
გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში
გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ დაგადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში
გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში
გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში
გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში
5. გარემოს დაცვა
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება
ჩამდინარე წყლების მართვა
გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა
ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა
გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში
6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა
ბინათმშენებლობა
კომუნალური მეურნეობის განვითარება
წყალმომარაგება
გარე განათება
გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში
7. ჯანმრთელობის დაცვა
სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები
ფარმაცევტული პროდუქცია
სხვა სამედიცინო პროდუქცია
თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები
ამბულატორიული მომსახურება
ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება
სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება
სტომატოლოგიური მომსახურება
საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება
საავადმყოფოების მომსახურება
ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება
სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება
სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება
სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
8. დასვენება, კულტურა და რელიგია
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში
მომსახურება კულტურის სფეროში
ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა
გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში
9. განათლება
სკოლამდელი აღზრდა
ზოგადი განათლება
დაწყებითი ზოგადი განათლება
საბაზო ზოგადი განათლება
საშუალო ზოგადი განათლება
პროფესიული განათლება
უმაღლესი განათლება
უმაღლესი პროფესიული განათლება
უმაღლესი აკადემიური განათლება
უმაღლესი განათლების შემდგომი განათლება
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება
გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში
10. სოციალური დაცვა
ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა
ავადმყოფთა სოციალური დაცვა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა
მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა
უმუშევართა სოციალური დაცვა
საცხოვრებლით უზრუნველყოფა
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას
გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში

რა არის ფინანსური აქტივები?

ფინანსური აქტივები არის სახსრები, რასაც სარგებელი უნდა მოჰქონდეს. ფინანსურ აქტივებზე ოპერაციებში შედის სესხების გაცემა, მათი დაბრუნება, ხაზინის ანგარიშებზე ფულის დაგროვება და გამოყენება, ასევე ფასიანი ქაღალდების შეძენა და მათი გაყიდვა.

ფინანსური აქტივების საპარლამენტო საბიუჯეტო ზედამხედველობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური მოთხოვნები. ფინანსური მოთხოვნების ყველაზე პრობლემურ მაგალითს წარმოადგენს დებიტორული დავალიანებები, რომელთა მოცულობაც სრულად შეფასებული არ არის.

რა არის ფინანსური აქტივების ზრდა?

ფინანსური აქტივების ზრდა ძირითადად სახელმწიფოს მიერ სესხის გაცემაა.

რა არის ფინანსური აქტივების კლება?

ფინანსური აქტივების კლება ძირითადად სახელმწიფოსთვის მის მიერ გაცემული სესხის დაბრუნებას.

რა არის ფინანსური აქტივების ცვლილება?

ფინანსური აქტივების ცვლილება არის ფინანსური აქტივების ზრდას მინუს კლება.

რა არის ფისკალური პოლიტიკა?

ფისკალური პოლიტიკა არის მთავრობის გადაწყვეტილებები დანახარჯებთან, გადასახადებთან და ვალთან დაკავშირებით. ფისკალური პოლიტიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიური ზრდის ხელშესაწყობად, რაც განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიური ზრდა განვითარების უმთავრესი გამოწვევაა.

რა არის ფაქტობრივი ხარჯი?

ფაქტობრივი ხარჯი არის ის, რომლის გადახდის ვალდებულებაც აღიარა დამკვეთმა ორგანიზაციამ (კონტრაქტით ან სხვა დოკუმენტით), მაგრამ რისი გადახდაც ჯერ არ განხორციელებულა, მაშინ, როცა საკასო ხარჯი არის ის, რაც უკვე გადახდილია. მაშასადამე, ფაქტობრივი ხარჯის გაწევა ხდება მაშინ, როცა მას აღიარებს დამკვეთი ორგანიზაცია საქონლის მიწოდების ან რაიმე მომსახურების/სამუშაოს შეუსრულების შემდეგ, მაგრამ შემსრულებლის/მომწოდებლისთვის ფული ჯერ არ გადაუხდია. შეადარეთ ზემოთ მოცემულ საკასო ხარჯს.

ქ

რა ქონებაზე ვიხდით ქონების გადასახადს?

ფიზიკური პირებისთვის ქონების გადასახადი:

- ✓ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათ ნაწილი), მსუბუქი ავტომობილები, იახტები (კატარღები), შვეულმფრენები, თვითმფრინავები
- ✓ არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონება
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

საწარმოთა ქონების გადასახადი:

- ✓ რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაციის შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად

საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება

✓ არარეზიდენტი საწარმოს შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე).

ფიზიკური პირებისა და საწარმოებისათვის მიწაზე ქონების გადასახადი:

✓ საკუთრებაში არსებული მიწა

✓ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს

✓ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

შ

რა არის შემოსულობები?

შემოსულობები, განსხვავებით შემოსავლებისგან, არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს, რაც მოიცავს:

1. შემოსავლებს
2. არაფინანსური აქტივების კლებას (ქონების გაყიდვა)
3. ფინანსური აქტივების კლებას (გაცემული სესხის დაბრუნება)
4. ვალდებულებების ზრდას (სესხის აღება)

რას მოიცავს შემოსავლები?

შემოსავლები მოიცავს:

1. გადასახადებს
2. გრანტებს
3. სხვა შემოსავლებს

შესაბამისად, შემოსავლები, როგორც ხშირად არასწორად ჰგონიათ ხოლმე, არ არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს.

რა არის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)?

ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი არის მთავრობის საშუალოვადიანი (ოთხწლიანი) გეგმა და მოიცავს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებს და ამოცანებს.

მთავრობა, არაუგვიანეს 10 ივლისისა, იწონებს BDD-ის პირველად ვარიანტს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს. მართალია, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი პარლამენტს მოგვიანებით სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინება, რომ:

- ✓ პარლამენტის კომიტეტები გამოქვეყნებისთანავე დაინტერესდნენ ამ დოკუ-მენტით, რადგან მათ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებამდე თითქმის სამი თვით ადრე შეუძლიათ გაეცნონ როგორც მომავალი წლის, ისე მისი მომდევ-ნო სამი წლის ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემებს და მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს, მაგალითად, თანდართული აქვს 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD). BDD ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია და მასში მოცემულია:
- ✓ ძირითადი მაკროეკონომიკური და ფინანსური პარამეტრები. ბიუჯეტს ახლავს ამ პარამეტრების საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური ვარიანტები. ბიუჯეტი დაგეგმილია საბაზისო პარამეტრების მიხედვით
- ✓ ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლები მიმდინარე, წინა წლისა და მომდევნო სამი წლისთვის, რაც დაგანახვებთ ბიუჯეტის პარამეტრების დინამიკას ხუთწლიან პერსპექტივაში
- ✓ მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება ოთხწლიანი პერიოდისთვის (მომავალი წელი პლუს მისი მომდევნო 3 წელი, მაგ., 2020 წლის 10 ივლისამდე მოწონებული ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) მოიცავს 2020, 2021, 2022 და 2023 წლებს
- ✓ მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები, მათ მიერ დაგეგმილი პროგრამები და მათი დაფინანსება

V | საჭირო წყაროები:

1. ფინანსთა სამინისტრო mof.ge: სახელმწიფო ბიუჯეტები და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები 2004 წლიდან მოყოლებული

2. საქსტატი: http://geostat.ge/ მთლიანი შიდა პროდუქტი, ფასები, ინფლაცია, საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საშუალო ანაზღაურება კერძო და საბიუჯეტო სექტორში, ოჯახების ხარჯები/შემოსავლები, საარსებო მინიმუმი

3. სახელმწიფო ხაზინა: treasury.ge

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური: sao.ge

5. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი: www.pbo.parliament.ge

6. შემოსავლების სამსახური: rs.ge

7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო: spa.gov.ge

8. ფინანსთა მინისტრის 99-ე ბრძანება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ, რაც საქართველოში საჯარო ფინანსების ფუძემდებლური დოკუმენტია და აქ თქვენს უამრავ კითხვაზე იპოვით პასუხს, მაგალითად, თუ გაინტერესებთ რა მიიჩნევა ქონებად, ანუ რისგან შედგება არაფინანსური აქტივები, ძებნის ფუნქციის (Find) პანელში შეიტანთ ამ ფრაზას დაბოლოების გარეშე (არაფინანსური აქტივებ) და იპოვით ცხრილს, რომელშიც მოცემულია არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი. ნაცვლად იმისა, რომ ამ ბრძანებაში წაიკითხოთ ყველა წინადადება, რომელშიც ეს ფრაზაა ნახსენები, გადააბიჯებთ ამ წინადადებებს და მოძებნით ცხრილს, რომელშიც მოცემულია არა იმის განმარტება, თუ რა არის არაფინანსური აქტივები, არამედ ამ არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი. თქვენ კი, სწორედ ეს შეგიქმნით წარმოდგენას იმაზე თუ რა არის არაფინანსური აქტივები. ანალოგიურად იპოვით თქვენთვის სასურველ ინფორმაციას სხვა შემთხვევებშიც.

დანართი # 1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მთავრობის ბოლო წლების ანგარიშებზე მოხსენებებში, მათ შორის 2018 წლის მოხსენებაში, მოცემული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები, რასაც პარლამენტი დაეთანხმა:

- ✓ სხვადასხვა წლებში განსაზღვრული მაკროეკონომიკური პროგნოზების რეალისტურობა და ფაქტობრივი მაჩვენებლებიდან გადახრები
- ✓ ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული რისკების და მათ საპასუხოდ განხორციელებული პოლიტიკა
- ✓ ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანი განხორციელების მიზნით მთავრობის მიერ ფონდიდან ასიგნებების კონკრეტული უწყებებისათვის მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და პროექტების დროულად დაწყება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სეზონური კლიმატური პირობების გამო მათი განხორციელების პროცესის შეფერხება (მაღალმთიანი რეგიონების პროექტები)